პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 120 (10817) | ხუთშაბათი, 23 მაისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

მტკიცედ დავიცვათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი აღმავლობით ემზადებიან ბრწყინვალე დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის. ქალაქად და სოფლად ახალი ძალით ჩაღდება ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავი შეჯიბრება, რომ მოიპოვონ ახალ-ახალი წარმატებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, ყოველ ღონისძიებას ხმაროობს, რომ დაძლიოს მიმდინარე წლის გაზაფხულის თავისებურებანი, ბუნების კაპრიზები და სწრაფად დაამთავროს სგვიანო კულტურების თესვა, ორგანიზებულად მოაწყოს ნათესების დამუშავება, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფა, პირუტყვის გადარეკა საზაფხულო საძოვრებზე.

მოწინავე კოლმეურნეობების თაოსნობით საბჭოთა კავშირში გაჩაღდა პატრიოტული მძრაობა — ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 100 ცენტნერი ხორცისა და 400 ცენტნერი რძის მიღებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად ამ უდიდესი მნიშვნელობის მოძრაობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომელთა კონკრეტული ვალდებულებანი იბეჭდება „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში. ეჭვი არ არის, რომ წითელწყაროელთა მაგალითისამებრ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეები გადიდებულ ვალდებულებებს იკისრებენ და საქმით იბრძოლებენ საზოგადოებრივი მეურნეობის განსავითარებლად.

საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის საფუძველია. არტელის სანიმუშო წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონია. კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის დადგენილებებმა „საოსფლო-სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ“ და „კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ“. სანიმუშო წესდების საერთო კრებებზე განხილვისას კოლმეურნეებმა წესდებაში შეიტანეს შესწორებები, ცვლილებები და დამატებები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის კოლმეურნეობებისათვის სამუდამოდ უვადო სარგებლობაში გადაცემული მიწის უფრო რაციონალურად, საწარმოო საშუალებათა და სამუშაო ძალის სრულად გამოყენების საკითხი, ზედმეტი ფულადი, ნატურალური და შრომითი დანახარჯების, ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირების საკითხი. ზოგან გადასინჯულია კოლმეურნეთა კომლების საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა არტელის საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლმეურნის ოჯახის შრომისუნარიან წევრთა შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით.

არტელის წესდებაში მთელი რიგი ახალი ღონისძიებების შეტანამ, საკოლმეურნეო დემოკრატიის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანამ მნიშვნელოვნად გაზარდა კოლმეურნეთა შემოქმედებითი ინიციატივა და ხელი შეუწყო საზოგადოებრივი მეურნეობის უფრო გონივრულად წარმართვას. მაგალითად, მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის და წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მიწის უკეთ გამოყენებით შეძლეს საგრძნობლად გაედიდებინათ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება წინა წლებთან შედარებით, მიეღოთ ბევრი მოსავალი, რამაც საგრძნობლად წასწია წინ ამ კოლმეურნეობების ეკონომიკა. რას მოწმობს მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობა? უწინარეს ყოვლისა იმას, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის განსავითარებელი კოლმეურნეობების საქმიანობა წარვმართოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს არტელის წესდება.

ამასთან ვხედებით ფაქტებს, როცა ირღვევა კოლმეურნეობის წესდების მოთხოვნები. მაგალითად, თიანეთის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ წარმოებს შრომის ყოველდღიურად აღრიცხვა, დარიცხული შრომადღეების სისწორის შემოწმება, არის კოლმეურნეებისათვის შრომადღეების გათანაბრებით დარიცხვის შემთხვევები.

არის აგრეთვე საკოლმეურნეო ქონების განაწილების, მოგებისების შემთხვევები. ყვარლის რაიონის სოფელ ენისლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს ფიქციური დოკუმენტებით ჩამოაწერეს და დაიტაცეს 28,9 ტონა ხორბალი, აგრეთვე გაანიავეს 227 კილოგრამი ყვავილი. სოფელ ყვარლის კოლმეურნეობა „კუდიგორის“ გამგეობამ იმ პირებს, რომლებიც ღვინის რეალიზაციას ეწეოდნენ, ფიქციური დოკუმენტებით ჩამოაწერა 320.000 მანეთი.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან აღკვეთონ არტელის წესდების უხეში დამახინჯებანი, ბოლო მოუღონ საკოლმეურნეო დოვლათის, ქონების დატაცებას, დაიცვან იგი ხელყოფისაგან. ის პირები, რომლებიც უსირცხვილოდ აფათურებენ ხელს კოლმეურნეობათა ქონებაში, უნდა დაისაჯონ საბჭოთა კანონების მთელი სისასტიკით.

საკოლმეურნეო პრაქტიკამ ცხადყო, რომ შემოსავლის განაწილების ახალი სისტემა, როცა კოლმეურნეებს ყოველთვიურად ეძლევათ ავანსები საზოგადოებრივ მეურნეობაში გამომუშავებული შრომადღეებზე, პროგრესული სისტემაა. კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემა კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდმნიშვნელოვანი სტიმულია, იგი ამაღლებს შრომადღის როლს და ზრდის კოლმეურნეთა დაინტერესებას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით.

არის ფაქტები, როცა არტელის წესდების საწინააღმდეგოდ კოლმეურნეებს ნატურალური და განსაკუთრებით ფულადი ავანსები ეძლევათ ხელაღებით, გამომუშავებული შრომადღეების გაუთვალისწინებლად. ხშირად საკოლმეურნეო დოვლათი ზედმეტად მიღებული აქვთ ისეთ პირებს, რომლებიც კეთილსინდისიერად არ მუშაობენ, ხოლო იმ კოლმეურნეებს, რომლებიც მაღალნაყოფიერად შრომობენ საკოლმეურნეო წარმოებაში, უჭიანურებენ გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილი ფულისა და პროდუქტების მიცემას. ხობის რაიონის კოლმეურნეობებში 1957 წლის 10 მარტისათვის კოლმეურნეებზე გაცემული არ იყო განაწილების თანახმად გათვალისწინებული 3.791.000 მანეთი და 10.700 ცენტნერი მარცვლეული, მაშინ როცა კოლმეურნეთა ნიორე ნაწილს არასწორი ავანსირების შედეგად ზედმეტად მიღებული ჰქონდა 1.748.500 მანეთი და 1.240 ცენტნერი მარცვლეული. მსგავს ფაქტებს ვხედებით აგრეთვე ლაგოდეხის, აბაშის და სხვა რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოების აღმასკომები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მოწოდებული არიან უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზუსტად დაცვისადმი, არ დაუშვან საზოგადოებრივი მიწებისა და საკოლმეურნეო ქონების განიავება.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისათვის ზრუნვა, კოლმეურნეთა აღზრდა არტელის წესდების დაცვის, შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კოლმეურნეობათა ეკონომიკის განვითარებას, საკოლმეურნეო ხვავისა და ბარაქის გამრავლებას.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 21 მაისის ცნობებით)

რაიონების დასახელება	მაის-ივნისის გეგმის შესრულება %
ბათუმის	37,3
ქობულეთის	26,2
ქედის	19,0
გალის	29,1
ოჩამჩირის	32,8
გულრიფშის	34,4
სოხუმის	55,4
გუდაუთის	28,5
მახარაძის	18,0
ჩოხატაურის	29,2
ლანჩხუთის	27,1
სამტრედიის	38,5
წულუკიძის	25,9
ქუთაისის	33,2
წყალტუბოს	44,9
ტყიბულის	33,0
ცხაკაიას	20,8
აბაშის	17,9
გეგეჭკორის	32,9
ზუგდიდის	22,8
წალენჯიხის	36,0
ჩხოროწყუს	36,9
ხობის	26,6
თერჯოლის	78,8
ზესტაფონის	42,9
ჭიათურის	26,1
ვანის	28,0
სულ რესპუბლიკაში	27,0

გულრიფშის, და სოხუმის რაიონების ცნობები არასრულია.

ხორცის წარმოების შემდგომი გაზრდისათვის

წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები ისწრაფვიან ღირსშესანიშნავი თარიღი — დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავი აღნიშნონ ახალი მიღწევებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა.

გულმოდგინედ შეისწავლეს რა მოლდავეთის სსრ ჩადირ-ლუნგის რაიონის მეცხოველეთა დიდი ვალდებულებანი და ერთსულოვნად მოიწონეს რა მათი პატრიოტული თაოსნობა — მიაღწიონ წელს იმას, რომ 100 ცენტნერი ხორცი მიიღონ ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე, რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ყოველმხრივ აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გამოუყენებელი რეზერვები და შემდეგი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს:

მიაღწიონ 1957 წელს სულ ცოტა 44.837 ცენტნერი ხორცის წარმოებას, აქედან 14.590 ცენტნერი ღორის ხორცისა, ე. ი. ერთიორად მეტი ხორცის და ერთისამად მეტი ღორის ხორცისა, ვიდრე 1955 წელს. ამრიგად, ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოონ 36 ცენტნერი ხორცი, აქედან 30 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე.

ჩვენ დიდი ღონისძიებანი ვიხმარეთ, რათა უზრუნველგვეყო, რომ წელს მივიღოთ მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი. საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში მოეწყო საგაზაფხულო კულტურების თესვა. გადაჭარბებით შესრულდა საკვები ბალახების თესვის გეგმა. 2.000 ჰექტარით გაფართოვდა სიმინდის ნათესი, მთელ რიგ კოლმეურნეობებში იქმნება მწვანე კონვეიერი. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო განვამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა.

წელს განხორციელდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის მასობრივი გასუქება. კარგად მოვაწყობთ რა პირუტყვის მოვლას და გავაუმჯობესებთ რა ზოოვეტერინარულ მომსახურებას, ჩვენ მინიმუმამდე შევამცირებთ პირუტყვის სიკვდილიანობას, აღმოვფხვრით სიბერწეს.

მიმდინარე წელს გავასუქებთ 16 ათას ღორს, რომელთაგან თვითეულის საშუალო ცოცხალი წონა იქნება 80-100 კილოგრამი, და ვაწარმოებთ ორჯერ მეტ ღორის ხორცს, ვიდრე შარშან. მონაწილეობენ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები ვალდებულებას კისრულობენ 1957 წლის 7 ნოემბრისათვის ჩააბარონ და მიჰყიდონ სახელმწიფოს სულ ცოტა 30 ცენტნერი ხორცი ყოველ ას ჰექტარ სავარგულებზე, აქედან 20 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე.

რაიონის ცალკეულმა კოლმეურნეობებმა შემდეგი ვალდებულებები იკისრეს:

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ — მიიღოს 2.960 ცენტნერი ხორცი, აქედან 1.232 ცენტნერი ღორის ხორცი, ე. ი. 41 ცენტნერი ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე და 30 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე;

სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — მიიღოს 7.997 ცენტნერი ხორცი, აქედან 1.803 ცენტნერი ღორის ხორცი, ე. ი. 37 ცენტნერი ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე და 30 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე;

სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ — მიიღოს 7.495 ცენტნერი ხორცი, აქედან 1.442 ცენტნერი ღორის ხორცი, ე. ი. 36 ცენტნერი ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე და 30 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე;

სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ — მიიღოს 2.035 ცენტნერი ხორცი, აქედან 768 ცენტნერი ღორის ხორცი, ე. ი. 36 ცენტნერი ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე და 31 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე;

სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — მიიღოს 4.910 ცენტნერი ხორცი, აქედან 1.858 ცენტნერი ღორის ხორცი, ე. ი. 36 ცენტნერი ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე და 28 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე;

სოფელ წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ — მიიღოს 2.768 ცენტნერი ხორცი, აქედან 1.079 ცენტნერი ღორის ხორცი, ე. ი. 36 ცენტნერი ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე და 31 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე.

სოფელ წითელწყაროს ლენინის სახელობის, დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის, სოფელ ოზაანის მალენკოვის სახელობის, სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის, სოფელ საბათლოს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე ხორცის წარმოება აიყვანონ 31-38 ცენტნერამდე.

რაიონის კოლმეურნეობებმა გადაწყვიტეს შემდგომ წლებშიც გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და 1960 წლისათვის მიაღწიონ ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე სულ ცოტა 50 ცენტნერი ხორცის წარმოებას, აქედან 40 ცენტნერი ღორის ხორცისა ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება მოითხოვს რაიონის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის ბეჯით სერიოზულ მუშაობას, რწმენას გამოვთქვამთ, რომ რესპუბლიკის სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელები მიბაძავენ ჩვენს მაგალითს და დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად კონკრეტულ ვალდებულებებს იკისრებენ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გასაადიდებლად.

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი **ი. ბერძენი**, *წითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე* **დ. ნატროშვილი**, *პარტიის წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანი* **ხ. ხოსროშვილი**, *პარტიის რაიკომის მდივნები მტს-ების ზონრებში* **ნ. ბორდვინოვი**, **შ. ყარალაშვილი**, **გ. ბოხტაშვილი**, *კომკავშირის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი* **შ. ცხვარაძე**, *რაიონული გაზეთის „ახალი შირაქის“ რედაქტორი* **ი. მოლოდინი**, *სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **ნ. ყოჩიაშვილი**, *სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **ნ. მამაიაშვილი**, *სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **ა. გონაშვილი**, *სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **ა. კობაიძე**, *სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **ი. ფირუსმანაშვილი**, *სოფელ წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **ლ. გელაშვილი**, *სოფელ წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **ი. ყაზაროვი**, *დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **დ. ჯანიკაშვილი**, *სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **ი. ქავთარაძე**, *სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **გ. იანვარაშვილი**, *სოფელ ოზაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **ხ. მაკავარიანი**, *სოფელ მირზაანის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **ზ. თარაშვილი**, *სოფელ საბათლოს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე* **ე. დავთიანი**, *წითლის მტს-ის დირექტორი* **ვ. ფირცხელაური**, *გამარჯვების მტს-ის დირექტორი* **ი. აბაზოვი**, *ქედის მტს-ის დირექტორი* **გ. ერიაშვილი**, *წითლის მტს-ის პარტიული ბიუროს მდივანი* **ი. მანგოშვილი**, *სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანი* **შ. ჭრელაშვილი**, *რაიონის მთავარი ვეტექიმი* **ა. ბიკაშვილი**, *გამარჯვების მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი* **გ. ნატროშვილი**, *სოფელ წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი* **მ. არაგანელაშვილი**, *სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი* **ი. ალექსიძე**, *სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის გამგე* **ხ. ყოჩიაშვილი**, *სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის გამგე* **შ. ბიკაშვილი**, *წითლის მტს-ის მთავარი აგრონომი* **ა. ზაქარიაძე**, *სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი* **კ. ნატროშვილი**, *სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი* **მ. წიკლაური**, *სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მუშაკი* **დ. სეფიაშვილი**, *სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მუშაკი* **გ. ნადირაშვილი**, *სოფელ საბათლოს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მეფუტკრეობის ბრიგადიერი* **ხ. არზუმანიანი**, *ქედის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადიერი* **ი. კიმოსტელი**.

მეგზურთა შეხვედრები

ლატვიის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები გულღიად მიიღო ქართველ მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქმა — რუსთავმა. როგორ დელეგაციას ქალაქის შესაძლელთან შეხვდნენ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პ. გილაშვილი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ვაშნიაკოვი, ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ამხ. ნ. გომელაური, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველი ამხ. ნ. გიორგაძე, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ებრალიძე.

რიგელი სტუმრები იყვნენ მეტალურგიულ ქარხანაში. ეს ქარხანა მათთვის ნაცნობი და მახლობელია, რადგან მის პროდუქციას რიგაშიც იღებენ. ქარხნის დირექტორმა ამხ. გომელაურმა სტუმრებს გააცნო რუსთავის ისტორია, უახლესი მომავლის პერსპექტივები, ისაუბრა ქარხნის მუშაობის, ნუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ. სტუმრებმა დაათვალიერეს მარტენის, ბლუმინგის, მილსაგლინავი საამქროები, ესაუბრნენ მუშებს.

შემდეგ რიგელები ეწვივნენ რუსთავის ერთ-ერთ მძლავრ საწარმოს — აზოტოვანი სასუქების ქარხანას, გაეცნენ მის მუშაობას. ქარხნის დირექტორმა ამხ. ნ. ჭიპაშვილმა და მთავარმა ინჟინერმა ამხ. ლ. ნოვიკოვმა ბევრი საინტერესო რამ მოუთხრეს ლატვიელ მეგობრებს საწარმოს შესახებ.

დელეგაციამ დაათვალიერა ჟ. რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი, იყო ხელოვნურ ტბაზე.

სტუმრებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქალაქის მწვანე სამოსელმა.

რიგის მშრომელთა წარმოგზავნილებს საჩუქრად გადასცეს ილუსტრირებული ალბომი, რომელშიც ასახულია რუსთავის ზრდა და განვითარება.

კმაყოფილი, მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ დელეგაციის ლონაწილენი თბილისში.

დღის მეორე ნახევარში რიგელები ეწვივნენ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლის კოლექტივმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო სტუმრებს. შემხვედრთა შორის იყო ბიოლოგიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი რიგელი ბ. ლუზიკა. რიგისა და თბილისის უნივერსიტეტებს კარგა ხანია მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან და, როგორც დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, მომავალ ლატვიისა და საქართველოს რესპუბლიკების დიდქალაქების სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო განამტკიცებს კავშირს ამ ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის.

უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ვ. კუპრაძემ სტუმრებს გააცნო უნივერსიტეტის მუშაობა. რიგელებმა დაათვალიერეს სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, საალტო დარბაზი.

საღამოს რიგელი სტუმრები იყვნენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, მოისმინეს ოპერა „დაისი“.

• • •

სურათზე: *ქ. რიგის მშრომელთა დელეგაცია თბილისის შამპანურის ქარხანაში. დელეგაციის წევრები ეცნობიან საწარმოს მუშაობას. ფოტო ვ. გინზბურგისა.*

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნე ინ-ჩუს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის გაერთიანებული გეოლოგიური ექსპედიციის გამყოლი ამხ. **ნე ინ-ჩუ** საბჭოთა გეოლოგის გადასარჩენად თავის გაწირვისათვის დაჯილდოებულ იქნას **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის
მოადგილე კ. ოზოლინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 18 მაისი.

★ ★ ★

თავგანწირვა

დღეს გამოქვეყნებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ერთ-ერთი გაერთიანებული გეოლოგიური პარტიის გამყოლის ახალგაზრდა კომუნისტის ნე ინ-ჩუს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ ბრძანების გამო, რომ მან გამოიჩინა თავგანწირვა.

ამხ. ნე ინ-ჩუ სხვა ჩინელ ამხანაგებთან ერთად ახლდა ავტომანქანას, რომლითაც მიჰყავდათ მძიმე ავადმყოფი საბჭოთა გეოლოგი ამხ. სტეპანოვა. ავადმყოფის მხლებელნი ჩქარობდნენ აეროდრომზე მისვლას, რათა მოესწროთ, რომ ამხ. სტეპანოვა თვითმფრინავით გაეგზავნათ სამკურნალოდ ქალაქ ურუმჩში. მაგრამ როცა ავტომანქანამ უკუნეთ ღამეში ირტიშის ნაპირს ნიაღწია, გამოირკვა, რომ პორანი ამ განიერი მდინარის გაღმა იყო. მებორნის გამოძახება არ მოხერხდა, ავტომობილის სიგნალის ხმასა და ადამიანთა ძახილს მდინარის ხმაური ახშობდა.

ამხ. ნე ინ-ჩუმ თვითონ იკისრა გამეყვანა ბორანი გაღმიდან. მან ცურვა არ იცოდა. ჩაიცვა შოფრის თათმანები, მიება ბორნის ფოლადის გვარლს, ხელი ჩასჭიდა მას და ჩამოეკიდა სწრაფ მდინარეზე. ეს გაბედული ადამიანი თითო მეტრობით იცვლიდა ხელს გვარლზე და შორდებოდა ნაპირს. ამხანაგებმა, რომლებიც მას შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს, დაინახეს, რომ მდინარის შუა ადგილს რომ მიაღწია, იგი ღრმად ჩაეშვა წყალში. მდინარის სწრაფი დინება მას ხელს უშლიდა.

საჭირო იყო დიდი გამძლეობა, დიდი გამბედაობა, რომ მდინარეზე აქეთ-იქით მოქანავე ძველ ფოლადის გვარლს ჩაჭიდებული დაწყვეტილ მავთულით დაჩხვლეტილი ხელებით სულ წინ და წინ ეცლო. ნე ინ-ჩუს ერთ წუთსაც არ ავიწყდებოდა, რომ ნაპირზე იყო მძიმე ავადმყოფი საბჭოთა ამხანაგი, რომელიც დილას აეროდრომზე უნდა ყოფილიყო. ბოლოს მან მიაღწია გაღმა ნაპირს. დაჭრილი ხელებისა და დიდი დაღლილობის მიუხედავად ნე ინ-ჩუმ გამოიყვანა ბორანი იმ ადგილას, სადაც ავადმყოფიანი ავტომანქანა იდგა. ავადმყოფის გადაყვანა უზრუნველყოფილი იყო. ავადმყოფი საბჭოთა ქალი დროზე მიიყვანეს თვითმფრინავთან.

გეოლოგიური პარტიის მთელმა კოლექტივმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ნე ინ-ჩუს გაბედული, კეთილშობილური საქციელისათვის. ახლა ეს კოლექტივი საველე მუშაობას განაგრძობს. ჩინელ გეოლოგთა მხარდამხარ შრომობენ საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც მათ თავიანთ გამოცდილებასა და ცოდნას უზიარებენ. ნე ინ-ჩუს თავგანწირვამ უკეთესი მუშაობისათვის აღაფრთოვანა პარტიის მუშაკები. ეს საქციელი სიმბოლოა ძმური მეგობრობისა, რომელიც მტკიცდება შეუპოვარ ერთობლივ შრომაში ორი დიდი ხალხის — ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების საკეთილდღეოდ.

ᲛᲔᲪᲮᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲭᲣᲠᲩᲔᲚᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲥᲣᲚᲘᲡᲨᲘ

მინანქრიან ჭურჭელს — ჩაიდნებს, თეფშებს, ქვაბებს, თუნგებს, თასებს დიდი გასავალი აქვს სავაჭრო ქსელში. თბილისის მინანქრიანი ჭურჭლის ქარხნის კოლექტივმა ამოცანად დაისახა მკვეთრად გაადიდოს ამ პროდუქციის გამოშვება.

საწარმოს კოლექტივმა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 4 თვის დავალება 8,4 პროცენტის გადამეტებით შეასრულა. გასწია 35 ათასი მანეთის ნედლეულის ეკონომია, თვითეული მუშის გამომუშავება 12,1 პროცენტით გაზარდა. კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები აქვს ქარხნის კოლექტივს მაისის პირველ ნახევარში.

წელს ქარხანამ აითვისა მინანქრიანი ჯამებისა და ტაშტების გამოშვება. ასეთი ასორტიმენტის მინანქრიანი ჭურჭელი წინათ ჩვენს რესპუბლიკაში სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ.

ქარხნის საამქროებს შორის შეჯიბრებაში დაწინაურდა მინანქრიანი ჭურჭლის საამქროს (უფროსი ნ. კორძაია) კოლექტივი, ხოლო ბრიგადებს შორის — ვ. მაჭარაძისა და ვ. ჟიტინოს ბრიგადები, რომლებმაც მაისის პირველ ნახევარში საწარმოო დავალებები 250 პროცენტით შეასრულეს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

21 მაისს მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოვიდა გერმანიის მუშათა მოძრაობის ვეტერანთა დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ფ. გებლერი. დელეგაციის შემადგენლობაში 35 კაცი შედის. ყველა ისინი გერმანიის მილიტარიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლები არიან, რომლებიც დევნას განიცდიდნენ ჰიტლერელთა მხრივ.

მოსკოველები გულთბილად მიესალმნენ გერმანელ სტუმრებს. ბელორუსიის ვოგზალზე დელეგაციას შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე პ. გ. მოსკატოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პ

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები ქვანახშირისათვის ბრძოლის ავანგარდში

წინათ ახალციხის ქვანახშირის სამმართველოს პირველი შახტი ყოველწლიურად ათასობით ტონა ქვანახშირს აკლებდა ქვეყანას. შახტის ჩამორჩენის დაძლევის მიზნით კომუნისტმა ინჟინერმა დ. დობორჯგინიძემ გასული წლის სექტემბერში უაღრესად საყურადღებო და სასარგებლო წინადადება წამოაყენა. უახლოეს პარტიულ კრებაზე მოიწყო ამ წინადადების განხილვა.

— შახტის არსებობის მთელ მანძილზე, — თქვა კრებაზე ამხ. დობორჯგინიძემ, — ქვანახშირის ფენები არაწესიერად მუშავდებოდა. მაგალითად, მესამე და მეოთხე ფენების ცალკე გამოღება ართულებდა პირველი და მეორე ფენების დამუშავებას. გათვალისწინებული არ იყო მესამე ფენის ქვედა შრის დამუშავებაც, მაშინ როცა ამ შრის ქვანახშირის სისქე მეტრნახევარია. მესამე ფენის თავისებურებათა არასაკმაო შესწავლის შედეგად არ არსებობდა ორივე შრის ერთდროულად დამუშავების პრაქტიკა. ცხადია, ასეთმა ტექნიკურმა შეცდომებმა ძალიან შეამცირა სამუშაო ფრონტი და ხელი შეუწყო შახტის ჩამორჩენას.

ყველა ამ მოსაზრებამ პარტიული კრების მონაწილენი ერმად დაარწმუნა მესამე ფენის ქვედა შრის ექსპლოატაციის დაწყების აუცილებლობაში. მაგრამ ადვილი როდი იყო გამოღებული სივრცის ქვეშ წმენდითი სამუშაოების დაწყება, ვინაიდან ეს გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. პირველი შახტის კოლექტივი არ შეუშინდა ამ სიძნელეებს და მესამე ფენის ქვედა შრის ექსპლოატაცია წარმატებით განხორციელდა.

ქვანახშირის ამ ახალი რეზერვის გამოვლინებამ შახტის საპროექტო სიმძლავრე ერთიორად გაადიდა. ახლად გამოვლინებული რეზერვის დამუშავება დაეკალა მაშინ ყველაზე ჩამორჩენილ მეოთხე საექსპლოატაციო უბანს. როგორც კი მესამე ფენის ქვედა შრის ექსპლოატაცია დაიწყეს, იმ დღიდანვე უბნის მუშაობას გარდატეხა დაეტყო, თვის გეგმა 15 დღეში იქნა შესრულებული, ხოლო ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 7 მანეთითა და 89 კაპიკით შემცირდა.

დეკემბრის ბოლოს პარტიულმა კრებამ შეაჯამა დ. დობორჯგინიძის წინადადების განხორციელების შედეგები და საჭიროდ ცნო ყველა საექსპლოატაციო უბანში მესამე ფენის ქვედა შრის ქვანახშირის ამოღების დაწყება. ამავე პარტიულ კრებაზე კომუნისტებმა რ. ქენქაძემ, ვ. იოსელიანმა, გ. სარქისიანმა, ა. ჩაჩხიანმა მრავალი კრიტიკული შენიშვნა გააკეთეს მექანიზმების მოცდენაზე, უსაშიშრობის წესების დარღვევაზე, მექანიკური სახელოსნოს შეუწყობელ მუშაობაზე. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად კრებამ სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი დასახა.

ერთი თვეც არ იყო გასული, რომ პარტბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი წინა პარტიულ კრებაზე მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ დადგენილების ზოგიერთი პუნქტი შესრულებული არ იყო. პარტბიურომ შახტის ადმინისტრაციასთან ერთად სასწრაფო ზომები მიიღო კომუნისტთა საქმიანი წინადადებებისა და შენიშვნების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე შახტის კოლექტივი დიდი აღმავლობით მუშაობს. ქვანახშირის ამოღების ოთხი თვის დავალება შესრულებულია 121,6 პროცენტით. შახტში ფართოდ არის გაჩაღებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრება. არ არის ისეთი უბანი და ცვლა, რომელიც დიდი გადაჭარბებით არ ასრულებდეს შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური საზრუნავია. პარტბიუროდ. საშახტო კომიტეტი სისტემატურად ამოწმებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ისინი დაუცხრომლად ზრუნავენ იმისათვის, რომ ყველა მეშახტის კუთვნილებად გადააქცინონ მოწინავეთა გამოცდილება, დაეხმარონ ჩამორჩენილებს და წაახალისონ წარმოების ნოვატორები. ამას წინათ განხილულ იქნა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგები და მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში დაწინაურებულ მესამე უბნის კოლექტივს (უფროსი ა. ჩაჩხიანი), აგრეთვე გამყვანთა და მებიგეთა ბრიგადებს (ხელმძღვანელები ს. აფრიამაშვილი და ბ. ტეფნაძე) წითელი ალმები და ქების სიგელები გადაეცათ.

საექსპლოატაციო უბნების გამართულ მუშაობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ამ ბოლო დროს პარტიული ჯგუფები მეტ აქტივობასა და ბრძოლისუნარიანობას იჩენენ. ისინი ოპერატიულად განიხილავენ ცალკეული უბნებისა და ბრიგადების მუშაობის საკითხებს, ყურადღებით ეკიდებიან მეშახტეთა წინადადებებს, იბრძვიან გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია პირველი უბნის პარტიული ჯგუფის (პარტჯგუფორგი ნ. ბაღდასარიანი) ნაყოფიერი მუშაობა. უბნის კომუნისტებმა ერთ-ერთ კრებაზე განიხილეს სამაგრი მასალის მომჭირნეობით ხარჯვის საკითხი. კრებაზე გაცხოველებული მსჯელობა გაიმართა ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გარშემო, შემოტანილ იქნა პრაქტიკული წინადადებანი ნახმარი სამაგრი მასალის ხელმეორედ გამოყენების შესახებ. პარტიული ჯგუფის კრების შემდეგ უბანში სამაგრი მასალის ხარჯვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მეორე უბანში პარტიული ჯგუფის (პარტჯგუფორგი ა. ჯვარიძე) ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდულ-კომკავშირული ცვლა. ეს ცვლა ყოველდღიურ საწარმოო დავალებს 130-140 პროცენტით ანაღდებს. მთლიანად მეორე უბნის კოლექტივმა ქვანახშირის ამოღების ოთხი თვის გეგმა 132 პროცენტით შეასრულა.

საშახტო პარტიულმა ორგანიზაციამ საექსპლოატაციო უბნებში, ცვლებსა და ბრიგადებში სწორად გაანაწილა ძალები, რის შედეგად მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომითი და საწარმოო დისციპლინა, საგრძნობლად ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში. კომუნისტები ტ. ქიმძაძე, ვ. ოგმერიანი, ს. ქეიანი, ა. ოვაკიმიანი, ბ. ტეფნაძე შრომითს ვახტზე დგანან და წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

მაგრამ ყველაფერი ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პარტორგანიზაციის მუშაობაში ნაკლოვანებანი არ იყოს. ბევრია ისეთი გადაუდებელი საკითხები, რომელთა გადაწყვეტისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის მოქცეული პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში.

სწორად მოიქცა პარტბიუროო, 27 მარტს პარტიულ კრებაზე რომ განიხილა საკითხი მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ. ამ კრებაზე კომუნისტებმა ს. კაპანაძემ, გ. კოსიანმა და სხვებმა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გააკეთეს. კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ საკითხის განხილვის შემდეგ ორი თვე გავიდა, მდგომარეობა კი უცვლელია.

საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციამ გაუმჯობესოს მუშაობა მეშახტეების ხალხთა ლენინური მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის. ვერ ვიტყვით, რომ ამ დარგში არაფერი კეთდებოდეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პოლიტიკური აგიტაცია მოსახლეობაში. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ეს უბანი სავსებით მივიწყებულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ.

მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის ამოსაღებად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომუნისტთა ავანგარდული როლის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლა საშახტო პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა.

ე. ხარებავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისის სანეპიდსადგური. ქიმიკოსი გ. პაპავა (მარცხნივ) ამოწმებს ლაბორანტ ლ. სოლომონიას მიერ გაკეთებულ ჰაერის ანალიზებს ნახშირუანზე. ანალიზისათვის ჰაერი აღებულია თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში.
ფოტო შ. გოკაძისა.

★

ახალი საბჭოთა მეურნეობა

წელს წალკის რაიონის ორი კოლმეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც დიდ როლს შეასრულებს თბილისის საგარეუბნო კურორტების მეცხოველეობის პროდუქტებით მომარაგების საქმეში.

მეურნეობაში უკვე შეუდგნენ სამშენებლო სამუშაოებს, რისთვისაც 600 ათასი მანეთია გამოყოფილი. დაწყებულია კანტორის მშენებლობა. წელს აიგება საძროხე, მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისათვის დამთავრდება 24-ბინიანი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა. მომდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ელექტროქსელისა და წყალსადენის გასაყვანად. მალე დაიწყება მისასვლელი გზების მშენებლობა.

ამჟამად წალკის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში 400 სული ძროხა და 1.500 სული ცხვარი ჰყავთ.

წელს აქ შემოიყვანენ 70 სულ ჯიშიან პირუტყვს. მომავალი წლისათვის ჯიშიანი პირუტყვის სულადობა 500-მდე გაიზრდება. გათვალისწინებულია აგრეთვე განვითარდეს მეღორეობა და მეფრინველეობა.

ა. კალაიჩევი,
წალკის რაიონული გაზეთის „ლენინსკი პუტის“ რედაქტორი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც მხილებული იყო თბილგასტრონომის № 21 მაღაზიაში ფასების დარღვევის, წონაში მოტყუების, მომხმარებელთა მიმართ უხეშობის ფაქტები.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს, რომელმაც შეგვატყობინა, რომ ვაჭრობის წესების დარღვევისათვის გამყიდველი კ. იასკო სამუშაოდან მოიხსნა, ხოლო მაღაზიის დირექტორს ამხ. ა. ხუდინიანს მიეთითა.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანმოძღვრო მოსამზადებლად

დიდი სახელმწიფოებრივი საქმე

გორის რაიონის მშრომელები ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, მაღალხარისხოვნად ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, ქმნიან მტკიცე ნიადაგს მეურნეობის ყველა დარგში მაღალი წარმატებების მიღწევისათვის.

ითვალისწინებენ რა იმ ვალდებულებების მთელ სერიოზულობას, რომლებიც იკისრეს აზერბაიჯანის სსრ კუბის რაიონისა და თელავის რაიონის მშრომელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას, ჩვენი რაიონის მშრომელები თავიანთ საქმიანობას ახლა იქითკენ მიმართავენ, რომ პირნათლად გაანალდონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდისათვის ბრძოლასთან ერთად დაუფლავად ვზრუნავთ მოსახლეობის კულტურული მომსახურების კარგად მოწყობისა და მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საუკეთესო პირობების შექმნისათვის. რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების და სახალხო განათლების მუშაკები გულდასმით განიხილავენ თელავის რაიონის მშრომელთა ქეთილშობილურ ინიციატივას ახალი, 1957-1958 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სანმუშოდ მოსამზადებლად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

რაიონის სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად და ახალი სასწავლო წლისათვის სანმუშოდ მოსამზადებლად უკვე გადადგმულია პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები. სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრებმა გადაწყვიტეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე კარალეთის საშუალო სკოლას მიაშენონ სასპორტო დარბაზი და ექვსი საკლასო ოთახი. ეს სამუშაო, რომელიც კოლმეურნეობის სახსრებითა და საშუალებებით კეთდება, უკვე დაიწყო და უახლოეს ხანში დამთავრდება. ამავე სოფლის შვიდწლიან სკოლას მიაშენდება სამი ოთახი, ქეთილმოწყობილი გახდება ეზო და სასპორტო მოედანი.

სოფელ ბერშუეთის შვიდწლიანი სკოლის საშუალო სკოლად რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ბერშუეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლას გადასცემს ოთხ ახალ საკლასო ოთახს, კაპიტალურად შეაკეთებს ძველებს. ამასთან დასახლებულ პუნქტ კირბალში დაწყებითი სკოლისათვის ააშენებს შენობას. საამისოდ გამოყოფილია ნაკვეთი, ადგილზე მიზიდულია საშენი მასალა. ხელთუბნის სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობა სოფლის შვიდწლიან სკოლას მიაშენებენ სამ ოთახს.

თელაველთა მაგალითისამებრ სოფელ ზერტის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა წელს სკოლის ფართობს ხუთი ოთახით გაზრდის. ახალ სასწავლო წელს კარგ საჩუქარს მიიღებენ სოფელ ზემო ნიქოზის დაწყებითი სკოლის მოსწავლეები. მათთვის ნიქოზის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა ააგებს ახალ სასკოლო შენობას. ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე სოფლების შავშვების, ზეღდულეთის, ქახერელის და სხვა კოლმეურნეობებმა.

რაიონის მტს-ები, საწარმო-დაწესებულებები და კოლმეურნეობები საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოებს მოაწყობენ ხუთ სკოლაში, მანქანათმცოდნეობის კაბინეტს — 3 და ელექტროტექნიკის კაბინეტს — 2 სკოლაში.

რაიონის მშრომელთა ფართო მონაწილეობით წელს სკოლების კაპიტალური რემონტი 10 აგვისტომდე დამთავრდება, მიმდინარე რემონტი კი — 25 ივლისამდე. შეძენილ იქნება და უახლოეს ხანში სკოლებს გადაეცემათ 200 მერხი, 95 სასწავლო მაგიდა, 54 დაფა, 37 კარადა და სხვა ინვენტარი.

უკვე დაიწყო სკოლების მომარაგება ზამთრისათვის საჭირო საწვავით. ეს საქმე ივლისამდე დამთავრდება. რაიონში მთელი რიგი ღონისძიებები ხორციელდება იმისათვის, რომ ფართოდ დაინერგოს პოლიტექნიკური სწავლება. ახალი სასწავლო წლისათვის რაიონის სკოლების ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება სახელმძღვანელოებითა და ყველა საჭირო სასწავლო ხელსაწყოთი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის ქალაქ გორში მოეწყობა რაიონის სკოლების ნორჩ ნატურალისტთა მესამე სარაიონო გამოფენა. ამავე დღეს გაიმართება ნორჩ მიჩურინელთა ტრადიციული რაიონული შეკრება. მოეწყობა აგრეთვე მასწავლებელთა თეორიული კონფერენცია პოლიტექნიკური სწავლების საკითხებზე. განზრახულია მასწავლებელთა ერთი ჯგუფი გაემგზავროს მოსკოვში ან კიევში პოლიტექნიკურ სწავლებაში მოპოვებული გამოცდილების შესწავლისათვის.

ჩვენი რაიონის მშრომელთა აზრი და სურვილია ყველა ღონისძიება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ კარგად მოვემზადოთ ახალი — 1957-1958 სასწავლო წლისათვის, მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი სასკოლო მუშაობის ყველა უბანზე, ღირსეული მაჩვენებლებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ა. ჩხეიძე,
გორის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე,

ო. ლაბაძე,
საქართველოს ალკკ გორის რაიკომის მდივანი,

თ. ჩუხრუკიძე,
სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე,

ი. რაზმაძე,
სოფელ ბერშუეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე,

დ. კიკლოლაშვილი,
სოფელ ქვემო ნიქოზის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სოციალისტური რევოლუციის შესახებ

იდეა სოციალისტური რევოლუციის შესახებ პირველად პროლეტარიატის დიდმა ნასწავლებლებმა მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს. მათ ყოველმხრივ და ღრმად, მეცნიერულად შეისწავლეს საზოგადოების განვითარების ისტორია, განსაკუთრებით კი კაპიტალისტური საზოგადოება და ამის საფუძველზე გააკეთეს გენიალური დასკვნა, რომ ბურჟუაზიის დამხობა, და პროლეტარიატის გამარჯვება გარდუვალია. მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს პროლეტარიატისა და მისი პარტიის მსოფლიო-ისტორიული როლი კაპიტალისტური საზოგადოების დამხობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმეში.

მარქსიზმი ადამიანთა საზოგადოებაში მომხდარ რევოლუციას განიხილავს როგორც კანონზომიერ მოვლენას, რომელიც შედეგია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და საწარმოო ძალებსა და წარმოებითს ურთიერთობას შორის კონფლიქტისა, რომელიც საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშობა.

„საზოგადოების მატერიალური წარმოო ძალები, — წერს კ. მარქსი, — მათი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ვარდება წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებითი ურთიერთობასთან, ანუ რაც მის მხოლოდ იურიდიულ გამოსახულებას წარმოადგენს, საკუთრების ურთიერთობასთან, რომლის შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ. საწარმოო ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობა მათ ბორკილად იქცევა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მთელი უზარმაზარი ზედნაშენიც მეტ-ნაკლები სისწრაფით გადატრიალდება“. (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 407, თბილისი, 1950 წ.).

ვ. ი. ლენინის უდიდესი დამსახურება რუსეთისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის წინაშე ის არის, რომ მან ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ და სხვა შრომებში, მარქსიზმის პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორია, რომელსაც განახორციელებდა პროლეტარიატი გლეხობასთან კავშირში. ლენინს ამით არ დაუმთავრებია თავისი მუშაობა ამ მიმართულებით და შემდგომ განავითარა ეს თეორია ახალ პირობებთან შეფარდებით. განსაკუთრებით დიდი მასალა ლენინს ამ მხრივ მისცა პირველი მსოფლიო ომის და იმპერიალიზმის მეცნიერულმა ანალიზმა.

ოპორტუნისტები მეორე ინტერნაციონალიდან და მათი მოკავშირე რუსი მენშევიკები ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას სოციალისტური რევოლუციისაგან ჰყოფდნენ გაუვალი ზღუდით. მათ ამ საკითხში, ისევე როგორც ბევრ სხვა საკითხში, სავსებით გამოავლინეს თავიანთი თავი როგორც ბურჟუაზიის მსახურებმა და პროლეტარიატის საქმის მოღალატეებმა. მათი მტკიცებით, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ არ იწყება სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლა, არამედ ბურჟუაზია, აიღებს რა ხელში ძალაუფლებას, განამტკიცებს თავის ბატონობას, რაც რამდენიმე ათეულ წელიწადს გაგრძელდებოდ.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იწყება ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ეს დასკვნა გამომდინარეობდა 1905 წელს რუსეთში შექმნილი პირობების ღრმა მეცნიერული ანალიზიდან. იგი ეყრდნობოდა მარქსისა და ენგელსის ცნობილ დებულებას განუწყვეტელი რევოლუციის შესახებ. ვ. ი. ლენინი განასხვავებდა იმპერიალიზმამდელ ბურჟუაზიულ რევოლუციებს იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისაგან. იგი რუსეთის პირველი რევოლუციის ერთ-ერთ თავისებურებად თვლიდა იმ გარემოებას, რომ წინათ მომხდარი ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან განსხვავებით ამ რევოლუციაში ჰეგემონის როლს თამაშობდა არა ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი გლეხობასთან კავშირში, პროლეტარიატი, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი პარტია ჰყავდა. ეს რევოლუცია თუ თავისი ხასიათით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, მამძრავებელი ძალებითა და ბრძოლის მეთოდებით — პროლეტარული.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის საფუძველი უნდა ყოფილიყო მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის სრული განხორციელება.

1905 წელს დაწერილ თავის განქმული შრომაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ ლენინმა მოგვცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის თეორია, რომლის მიხედვით პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება, შემოიერთოს მოსახლეობის ნახევრად-პროლეტარული ელემენტები, გლეხთა მასები, ძალით გატეხოს თვითმპყრობელობის, ბურჟუაზიის წინააღმდეგობა, გააქარწყლოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა.

ამრიგად, ლენინმა ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში შექმნა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორია, რომლის დაგვირგვინებასაც წარმოადგენს ვ. ი. ლენინის მიერ პირველი მსოფლიო ომის წლებში დაწერილი ორი გენიალური ნაშრომი: „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ (1915 წ.) და „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“ (1916 წ.). ლენინმა ამ შრომებში შემდგომ განავითარა სოციალისტური რევოლუციის თეორია. აღმოაჩინა რა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების არათანაბარი, ნახტომისებური ხასიათი, იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სოციალიზმის გამარჯვება ყველა ქვეყანაში ერთდროულად შეუძლებელია ამ ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის გამო და რომ სავსებით შესაძლებელია მისი გამარჯვება ერთ, თუნდაც ცალკე აღებულ, ქვეყანაში. ეს იყო უდიდესი წვლილი მარქსიზმის თეორიის შემოქმედებითად განვითარების საქმეში და უდიდესი დარტყმა იმათთვის, ვინც მარქსიზმს დოგმატურად უყურებდა, ვისაც ეშინოდა შეეცვალა მარქსიზმის მოძველებული დებულება ახლით და ამით ახალი სასიცოცხლო ძალა მიეცა მისთვის.

ამასთანავე აღსანიშნავია ის, რომ სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორია სავალდებულოდ არა ხდის რევოლუციის აუცილებლად გამარჯვებას იქ, სადაც მრეწველობამ მიაღწია განვითარების უმაღლეს მწვერვალს და მუშათა კლასი შეადგენს მოსახლეობის უმრავლესობას. სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიის მიხედვით კაპიტალიზმის ფრონტი გაირღვევა იქ, სადაც იმპერიალიზმის ჯაჭვი უფრო სუსტია.

სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორია მძლავრი იარაღი გახდა ყველა ქვეყნის პროლეტარების ხელში. იგი შესანიშნავად გამოიყენა ჩვენმა პარტიამ მასების დასარაზმავად და კაპიტალისტური წყობილების დამხობისათვის რუსეთში. ეს თეორია სწორ ორიენტირებას აძლევს ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს არ უცადონ რევოლუციას სხვა ქვეყნებში, თავი გაითავისუფლონ კაპიტალისტური მონობიდან და დაამყარონ პროლეტარიატის დიქტატურა. ლენინის დასკვნით, იმპერიალიზმი ლპობადი კაპიტალიზმია, სოციალისტური რევოლუციის წინადღეა. მაგრამ ამით იმის თქმა როდი შეიძლება, რომ იმპერიალიზმი დაიღუპება თავისთავად, ავტომატურად, რევოლუციისათვის მუშათა კლასისა და მშრომელთა ბრძოლის გარეშე.

იმისათვის, რომ პროლეტარიატმა დაამხოს ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყაროს თავისი დიქტატურა, საჭიროა გარკვეული ობიექტური პირობები. ამ პირობების მთლიანობას ლენინმა რევოლუციური სიტუაცია უწოდა. რევოლუციის ძირითადი კანონი, რომელიც დადასტურებულია რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მიერ,—გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — შემდეგში მდგომარეობს: „რევოლუციისათვის არ კმარა, —ექსპლოატირებულმა და ჩაგრულმა მასებმა შეიგნონ, რომ ძველებურად ცხოვრება შეუძლებელია და ცვლილება მოითხოვონ; რევოლუციისათვის აუცილებელია, რომ ექსპლოატატორებს აღარ შეეძლოთ ძველებურად იცხოვრონ და მართონ. მხოლოდ მაშინ, როცა **„ქვედაფენებს“ აღარ სურთ** ძველი და როცა „ზედაფენებს“ **აღარ შეუძლიათ ძველებურად,** მხოლოდ მაშინ შეიძლება რევოლუციის გამარჯვება. სხვანაირად ეს ჭეშმარიტება გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: რევოლუცია შეუძლებელია საერთონაციონალური კრიზისის გარეშე (რომელიც ექსპლოატირებულებსაც შეეხება და ექსპლოატატორებსაც)“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 89).

მაგრამ რევოლუციის მომზადებისა და გატარებისათვის საკმარისი არ არის მარტო ობიექტური პირობები. იგი შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ობიექტურ პირობებთან ერთად არსებობს სუბიექტური პირობებიც, არსებობს პროლეტარიატის პარტია. პარტია პროლეტარიატს რევოლუციური სულისკვეთებით ზრდის, შეაქვს მასში სოციალისტური შეგნება, აღარაღებს მას მოწინავე თეორიით, ამჭიდროებს ორგანიზაციულად და პოლიტიკურად, სწორად წარმართავს მის ბრძოლებს.

პარტია აუცილებელია რევოლუციისათვის მაშინაც კი, როდესაც არსებობს რევოლუციური კრიზისი, რადგან რევოლუცია თავისთავად არ მოდის, იგი მომზადებას მოითხოვს. „ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომ რაკი არსებობს რევოლუციური კრიზისი, ბურჟუაზია აუცილებლად უნდა ჩავარდეს გამოუვალ მდგომარეობაში, რომ მისი აღსასრული, მაშასადამე, უკვე წინასწარ განსაზღვრულია, რომ რევოლუციის გამარჯვება ამით უკვე უზრუნველყოფილია და მათ ისღა დარჩენოთ, რომ დამხობას უცადონ და გამარჯვების რეზოლუციები წერონ. ეს ღრმა შეცდომაა. რევოლუციის გამარჯვება არასოდეს არ მოდის თავისთავად. საჭიროა მისი მომზადება და ბრძოლით მოპოვება. ხოლო მისი მომზადება და ბრძოლით მოპოვება შეუძლია მხოლოდ მძლავრ პროლეტარულ რევოლუციურ პარტიას“. (ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 314).

ამრიგად, მას შემდეგ, რაც არსებობს რევოლუციური სიტუაცია, რევოლუციის გამარჯვების საქმეში გადამწყვეტი როლი ენიჭება პროლეტარიატის ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას— პარტიას. სწორედ ამიტომ ჩვენი პარტიის შექმნის პირველ წლებში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატს არა აქვს სხვა იარაღი, გარდა ორგანიზაციისა.

ვ. ი. ლენინმა შექმნა და გამაწრთო პროლეტარული პარტია, კომუნისტური პარტია, რომლის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი ხალხის მიერ მოპოვებული ყველა გამარჯვება.

სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორია, როგორც

125.000 ტონა სარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის

პირველ დღეებში

მივბაძოთ მოწინავეებს, აღვკვეთოთ დამახინჯებანი ჩაის კრეფაში

ფყალტუბო. (სპეც კორ.). მეჩაიეობის კოლმეურნეობებში გაჩაღდა ჩაის ფოთლის კრეფა. მოუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, თვითეული მკრეფავი ცდილობს პლანტაციაში არ დატოვოს არცერთი კილოგრამი შემოსული ფოთოლი, ეს კი გეგმისა და ვალდებულებების შესრულების საწინდარია.

წყალტუბოელები ჩაის კრეფას მასობრივად მხოლოდ მაისის მეორე ხუთდღიერიდან შეუდგნენ. სულ რაიონში 20 მაისისათვის მოკრეფილი იყო 233 ათასი კილოგრამი ნედლეული. მარტო 9 მაისს რაიონში მოიკრიფა 16.251 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ცხადია, ეს ტემპი როდი კმარა ვალდებულებათა შესასრულებლად. საჭიროა ეს სამუშაო მკვეთრად გავაძლიერთ.

ყველაზე დიდი სამუშაო მოელის სოფელ გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც 300 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვს და გეგმით წელს უნდა მოკრიფოს 277 ტონა ნედლეული. ამას კარგად ითვალისწინებენ გვიშტიბელები და უკვე მოკრეფილი აქვთ 30 ტონაზე მეტი. ასევე გაძლიერეს კრეფის ტემპი სოფელ გუმბრის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ მოკრეფილი აქვთ თვრამეტ ტონაზე მეტი. წყალტუბოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სამშობლოს უნდა მისცეს 139 ტონა ჩაის ნედლეული. ამ დავალების შესასრულებლად გაჩაღდა მუშაობა. უკვე მოკრეფილია 18 ტონამდე ჩაის ფოთოლი.

ჩაის კრეფის ტემპი გააძლიერეს მაღლაკის სტალინის სახელობის, ლენინის სახელობის, მალენკოვის სახელობის, ფარცხანაყანევის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობებმა. ქვილიშორელი მეჩაიეები იბრძვიან იმისათვის, რომ გეგმით გათვალისწინებული 139 ტონა ნედლეული ვადამდე ჩაბარონ სახელმწიფოს და გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 40.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. თვითეული ბრიგადა, რგოლი, მეჩაიე იბრძვის მეტი ჩაისათვის, კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის გარდამავალი წითელი დროშის მოპოვებისათვის.

წელს ზუგდიდის რაიონის მეჩაიეები დიდი ამოცანის წინაშე დგანან. მათ გეგმით უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 14.780.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამ პასუხსაგები დავალების პირნათლად განაღდებისათვის სეზონის დაწყებისთანავე გაჩაღდა ენერგიული ბრძოლა.

სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობაში დაწინაურდნენ მკრეფავები ლ. ჩარგაზია, ნ. ტურავა, დ. ჯიქია და სხვები. თვითეულმა მათგანმა მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარზე უკვე მოკრიფა 500-600 კილოგრამი ნედლეული.

კარგად მუშაობს სოფელ ოქტომბრის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მეათე ბრიგადა. ბრიგადის ხელმძღვანელს მ. ხურცილავას საველე ფარდულში გამოკრული აქვს სპეციალური ცხრილი, სადაც ყოველ საღამოს აჯამებენ თვითეული კოლმეურნის დღიური შრომის შედეგს. იქვე კვირაში ორჯერ გამოდის საველე გაზეთი. ყველაფერი ეს ხელს უწყობს მეჩაიეთა შრომითს წარმატებას. ბრიგადა ყოველდღიურად კრეფს 1-1,5 ტონა ჩაის. ბრიგადაში განსაკუთრებით გამოირჩევიან კოლმეურნეები — სასოფლო საბჭოს დეპუტატი ნათელა ცაავა, ვალენტინა გადელია, გოგუცა ალანია, მოხუცი მეჩაიე ლიდია პირტახია. კოლმეურნე ეუეუნა ესართიას 5 ბავშვი ჰყავს, მაგრამ დროს ისე ანაწილებს, რომ დღეში 38-39 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

რაიონში არსებულ ჩაის საბჭოთა მეურნეობებს შორის ყველაზე მეტი გეგმა აქვს ინგირის მეურნეობას, რომელმაც წელს უნდა მოკრიფოს 2.050.000 კილოგრამი ჩაი, მაგრამ აქ ამით არ კმაყოფილდებიან და იკისრეს გეგმის გადამეტებით დაამზადონ 50.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ბეჯითი შრომით თავი გამოიჩინეს სოციალისტური შრომის გმირებმა ალექსანდრა ახობაძემ და ნადია იურჩენკომ. თვითეული დღეში 50-60 კილოგრამ ფოთოლს კრეფს.

ჩაის კრეფის პირველ დღეებში გამოვლინდა სერიოზული ხაკლოვანებანი. სოფელ კახათის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში შემოწმების დღეს, 16 მაისს, მეხუთე ბრიგადის საველე ფარდულში მოკრეფილი ჩაის ფოთოლი მიწაზე ეყარა. ამან გამოიწვია ფოთლის დანაგვიანება და ხარისხის დაცემა. ბრიგადირი კ. ხუფენია ამას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

სოფელ რუხის კოლმეურნეობაში ჩაის კრეფაზე მასობრივად არ გამოდიან მკრეფავები. 15 მაისს იმ ბრიგადაში, რომლის ხელმძღვანელია ა. ფიფია, დღის 12 საათზე მხოლოდ 5 მეჩაიე მუშაობდა. რუხელებს ბრიგადაში უნდა გაეხსნათ საბავშვო ბაგა, მაგრამ დააგვიანეს.

საგანგაშოა ის, რომ სოფელ კორცხელის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის 8 ჰექტარი ჩაის პლანტაცია დაფარულია გვიმრითა და ბარდეკლით. მკრეფავები დიდი გაჭირვებით კრეფენ ეკლით დაფარულ ჩაის ყლორტებს.

ზოგან კრეფის წესს არღვევენ. მაგალითად, ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეთოთხმეტე ბრიგადის წევრები ლ. შედანია და რ. გვილავა ჩაის ფოთოლს წინსაფრებში კრეფდნენ. კორცხელის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მერვე ბრიგადის მეჩაიე ლ. თორდია ნაკრეფ ფოთოლს ტომარაში ყრიდა. რიყის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში საველე ფარდულს სახურავი არა აქვს.

კიდევ ერთი ფაქტი: ცნობილია, რომ მოკრეფილი ფოთლის ტენიანობის განსაზღვრა ხდება ლაბორატორიაში. სპეციალური ცხრილი მიგვითითებს, თუ რამდენი პროცენტი უნდა გამოაკლდეს დილის ნაკრეფ ფოთოლს. დასავლეთ საქართველოში მშრალი ამინდი იდგა, ნამიც სუსტი იყო. მიუხედავად ამისა, ნარაზენის ჩაის ფაბრიკის ცენტრალურ პუნქტში 14 მაისს კოლმეურნეობიდან მიღებულ დილის 9-10 საათზე ნაკრეფ ჩაის ფოთოლს მაინც 10 პროცენტი ტენიანობა უანგარიშეს.

ამთავითვე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის ფოთლის კრეფას აგროწესების დაცვით და გადაჭრით გაძლიერდეს კრეფის ტემპი. ზუგდიდელთა ღირსების საქმეა ხელიდან არ გაუშვან ჩაის კრეფის თვითეული დღე და საათიც კი, რათა უთუოდ შესრულდეს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გაჩაღებული ჩაის კრეფა. კოლმეურნეობა ყოველდღიურად კრეფს 20 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. გასულ წელს კი ამ პერიოდში 10-12 ტონას კრეფდა.

ამ კოლმეურნეობის წევრმა, მერგოლურმა, ოიძემ ვალდებულება იკისრა მისთვის მიჩენილ სოციალისტური შრომის გმირმა ტატიანა ჩხაიძემ ხარისხოვანი ჩაი ნაცვლად შარშანდელი 0,5 ჰექტარ ნაკვეთზე წელს მიიღოს 7.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი ნაცვლად შარშანდელი 6.123 კილოგრამისა. იგი ამავითვე ენერგიულად იბრძვის პირობის გასანაღდებლად. **სურათზე:** ტ. ჩხაიძე ჩაის ფოთლის კრეფაზე.

ფოტო ა. ამირანაშვილისა.

გამოჩენილი შვედი მეცნიერი-ბუნებისმეტყველი

კარლ ლინეის დაბადების 250 წლისთავის გამო

შესრულდა 250 წლისთავი გამოჩენილი შვედი მეცნიერი-ბუნებისმეტყველის კარლ ლინეის დაბადებიდან. ამ თარიღს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით ფართოდ აღნიშნავს მთელი მსოფლიოს კულტურული კაცობრიობა.

კარლ ლინეის დამსახურება ის არის, რომ მან უდიდესი ოსტატობით მოიყვანა სისტემაში მცენარეების და ცხოველების მრავალფეროვანი სამყარო. თუ რამდენად საჭირო საქმე შეასრულა ლინეემ, ამას მოწმობს ის, რომ მისი ნაშრომი „ბუნების სისტემა“ ავტორის სიცოცხლეშივე თორმეტჯერ გამოიცა.

რატომ არის ასე დიდად დაფასებული ის, რაც გააკეთა ლინეემ?

ადამიანი დიდი ხანია ცდილობდა სისტემაში მოეყვანა ის მცენარეები და ცხოველები, რომლებსაც იგი იცნობს. ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის 600 წლით ადრე შედგენილი ყოფილა მცენარეებისა და ცხოველების სიები, რომლებიც ტაბულების სახით დაწერილი იყო თიხის ფირფიტებზე. ტაბულების შედგენის დროს გამოუყენებიათ ადამიანისათვის მცენარეებისა და ცხოველების სარგებლობის პრინციპი. ცხადია, ამგვარად შედგენილი ცოცხალი სამყაროს სისტემა სრულყოფილი არ იქნებოდა.

ლინეის წილად ხვდა მოეწესრიგებინა ცოცხალი სამყაროს სისტემაში მოყვანის საქმე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ლინეის ჰყავდნენ წინამორბედნიც. ჯერ კიდევ არისტოტელეს მიერ დაწერილ „ცხოველთა სისტემაში“ იყო მოცემული ცხოველების ხერხემლიანებად და უხერხემლოებად გაყოფის ცდა. XVI საუკუნის მკვლევარმა ცეზალპინმა ოსტატურად დაასაბუთა მეცნიერული სისტემატიკის აუცილებლობა. ჯონ რეიმ დიდი ღვაწლი დასდო იმის, რომ საშუალო საუკუნეებში დაკნინებული სისტემატიკური ბიოლოგია გამოეცოცხლებინა. რეიმ შემოიღო ცნება სახეობის შესახებ. მაგრამ სახეობის ცნებაც ბიოლოგიაში, როგორც შენიშნავს ტიმირიაზევი, უნაყოფოდ დარჩებოდა, რომ არ ყოფილიყო კარლ ლინეი.

ლინეი განსაკუთრებული ნიჭის მქონე მკვლევარი იყო. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ იგი დიდი ოსტატობით დაეუფლა ბუნებისმეტყველებასაც და მედიცინასაც. მედიცინის დოქტორი და კარგი მკურნალი ექიმი, იგი მრავალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საეკლესიო ნაშრომის ავტორი იყო. არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ლინეემ არა მარტო სისტემატიკურ, არამედ ექსპერიმენტულ ბიოლოგიასაც დაუტოვა ბევრი ნაშრომი.

ლინეი უნივერსიტეტში განაგებდა კათედრას და კითხულობდა მედიცინის და ბუნებისმეტყველების საგნებს. თავის დროზე იგი ბოტანიკური ბაღის დირექტორიც იყო და, ბოლოს, შვეციის მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი. იგი დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივი მეხსიერებით და ჰქონდა სისტემატიკოსის განსაკუთრებული ნიჭი.

თუმცა ლინეის სისტემას ჰქონდა ნაკლოვანი მხარეებიც, მაგრამ იგი მკვლევარს ყოველთვის აძლევდა იმის შესაძლებლობას, რომ ახალი ფორმებისათვის მიეჩინა თავისი ადგილი ამ სისტემაში.

ლინეი გრძნობდა, რომ სახეობებისათვის ჩვეულებრივად მიცემული დასახელებები არამეცხიერულია. ამიტომ მან შემოიღო ეგრეთწოდებული ბინარული ნომენკლატურა: სახეობები, რომლებიც ერთმანეთს ჰგავდნენ რაიმე ნიშნებით, მიეკუთვნებოდნენ ერთსა და იმავე გვარს, რის გამო დასახელება ორმაგი, ბინარული გამოდიოდა და იგი გვარისა და სახეობის სახელწოდებისაგან შედგებოდა. მაგალითად, კატა, ვეფხვი, ლომი ფაქტობრივი მასალა, როგორიც არ დაგროვილა საუკუნეების განმავლობაში. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ამ მკვლევარის მეოხებით ბოტანიკამ და ზოოლოგიამ მიაღწიეს გარკვეულ სრულყოფას.

დიდი რუსი მეცნიერი ტიმირიაზევი აღნიშნავდა, რომ ლინეის მიერ მოცემული ცოცხალი ბუნების კლასიფიკაცია უკანასკნელი სიტყვაა, რომელიც დღემდე უბადლოა თავისი მკაფიო უბრალოებით.

ლინეემ, როგორც ჭეშმარიტმა მეცნიერმა, შეძლო ეჭვი შეეტანა თავის თავდაპირველ რწმენაში სახეობების უცვლელობის შესახებ, როდესაც ხელთ აღმოაჩნდა ამის შესაფერი მასალა. ცნობილი რუსი ემბრიოლოგი მეჩნიკოვი ლინეის აზროვნების ამ პროგრესულ მომენტს განსაკუთრებით უსვამს ხაზს. მართლაც, ღღეს ბავშვმაც კი იცის, რომ ცოცხალი ორგანიზმები განიცდიან სახეცვლას, რომ ამ სახეცვლის პირველი დამამტკიცებელი საბუთია ორგანული სამყაროს მრავალფეროვნება; მაგრამ უწინ ამის წარმოდგენა ადამიანს არა ჰქონდა, თუმცა ცოცხალი სამყაროს მრავალფეროვნების ფაქტს ადამიანმა დიდი წინანა მიაქცია ყურადღება.

იდეა, რომ მრავალფეროვნება შეიძლება მიღწეული იყოს თავდაპირველად უბრალოდ აგებული ფორმების გარდაქცევით, არც თუ ისე ადვილი მისაღწევი იყო, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ ბიბლიის დოგმატური დებულებები ამ იდეის საწინააღმდეგოდ იყვნენ მიმართულნი.

თუ გავიხსენებთ იმას, რომ ლინეი მოღვაწეობდა ისეთ [illegible] და ღვთისმგმობელ [illegible] მაშინ გასაგები იქნება, როგორი გმირობა იყო ის, რომ მან შეძლო არ დაეფარა თავისი გულდაჯერებულობა და ადამიანს მოაცალა ღვთაებრიობის შარავანდედი, შეეტანა იგი ძეძუძმწოვარ ცხოველთა კლასში, მიაკუთვნა პრიმატების რაზმს. ლინეიმ ბოლოს ერთი სახეობის მეორე სახეობად გარდაქმნაც შესაძლებლად ჩათვალა. ენგელსი ლინეის გონებრივი ევოლუციის ამ პერიოდს ახასიათებს როგორც რევოლუციურს, უაღრესად პროგრესულს.

ლინეემ ამ მიმართულებით მორიდებით, მორცხვად გადადგა ნაბიჯი და ეს გასაგებიც არის იმისათვის, რომ სახეობათა გარდაქმნის დებულება მას უნდა წამოეყენებინა თავისი თავდაპირველად ამის საწინააღმდეგო განწყობის და შინაგანი კონფლიქტის შედეგად. რა იცოდა ლინემ, რომ მის მიერ ამ მორცხვად გადადგმულ ნაბიჯს მომავალში ძლევამოსილი ზეიმი ელოდა, რაც კიდევაც გამოისახა ჩარლზ დარვინის უკვდავი ნაშრომის „სახეობათა წარმოშობის“ დაწერით.

სახეობათა გარდაქმნის ცნება დიალექტიკურ-მატერიალისტური აზროვნების ერთ-ერთი ძირითად ცნებათაგანია. იგი ღრმა შინაარსით არის გაშლილი დარვინის მოძღვრებაში. ამ მოძღვრების თანახმად ცოცხალი სამყაროს შემადგენელი სახეობები მუდმივ განვითარებაში, დინებაში, გარდამავლობაში იმყოფებიან.

სახეობათა ისტორიულობას ამ სახეობათა ერთმანეთთან ნათესაური კავშირი ადასტურებს. ახალ სახეობათა მიღება არის ძველ სახეობებში არსებული თვისებების არა მარტო გაძლიერება ან შესუსტება, ეს თვით ახალი თვისებების წარმოშობის პროცესია. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ ადგილი აქვს ორგანიზმებში ისეთი თვისებების შექმნას, რომლებიც საწყის ფორმებში ჩანასახის სახითაც არ გვხვდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორგანული სამყარო ადგილზე კი არ დგას, არამედ ღრმა ცვლილებებს განიცდის, მასში ახლის წარმოშობის პროცესი მიმდინარეობს, ე. ი. ადგილი აქვს ცვლილებებს არა ერთისა და იმავე ხარისხის ფარგლებში, არამედ მიმდინარეობს ქმნადობის, ახალი თვისებების მიღების პროცესი (წარმოშობა ნაირსახეობები, სახეობები, გვარები და სხვ.).

დარვინიზმის ეს დებულებები ფუჭი იქნებოდა, ისინი პრაქტიკულად რომ არ ეხმარებოდნენ ადამიანს ბუნების გარდაქმნის პროცესში. თუ ლინეემ დაადასტურა ორგანიზმთა შორის ნათესაური კავშირის ფაქტი, თუ დარვინმა დაასაბუთა, რომ ადგილი აქვს ევოლუციას და ახსნა ეს პროცესი, საბჭოთა დარვინისტებმა დაამტკიცეს, რომ ევოლუციის პროცესის მართვაც არის შესაძლებელი. მიჩურინმა დაგვანახვა, რომ მცენარეთა ველური ფორმები შეიცავენ უსასრულო შესაძლებლობებს კულტურული მცენარეების სასარგებლო ნიშანთვისებათა კიდევ მეტი გამდიდრებისათვის. მიჩურინის მოძღვრება ახალი შინაარსით ამდიდრებს დარვინიზმს, უფრო ღრმად არკვევს შთამომავლობის და ცვალებადობის მოვლენებს, გვიჩვენებს ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევის შემოქმედებითს მნიშვნელობას.

აი რა გზით იარა და რას მიაღწია ევოლუციურმა მოძღვრებამ, რომლის ერთ-ერთ ფუძემდებლად სამართლიანად ითვლება კარლ ლინეი.

პროფესორი პ. ჭანტურიშვილი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა კონცერტები

ამ დღეებში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან ერთად კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოაწყო დედაქალაქის მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა კონცერტი.

მოსწავლეთა კონცერტის რეპერტუარი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი იყო. კონცერტმა გამოავლინა ბევრი ნიჭიერი ნორჩი მუსიკოსი, რომლებმაც შეასრულეს როგორც ქართველ (არაყიშვილის, კილაძის, კერესელიძის, მაჭავარიანის, დავითაშვილის), ისე რუს (ჩაიკოვსკის, რუბინშტეინის, პროკოფიევის, ლიადოვის, გლიერის) და უცხოელ (ბეთჰოვენის, გრიგის, ვებერის, შუბერტის, ბახის) მთელი რიგი ინსტრუმენტალური ნაწარმოებები.

კონცერტზე განსაკუთრებული წარმატება ხვდა თბილისის მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა გაერთიანებულ სიმფონიურ ორკესტრს, რომელმაც მ. ძიძიშვილის დირიჟორობით შეასრულა ჰენდელის ნაწარმოებები.

ბევრი ნორჩი ნიჭიერი მუსიკოსი გამოავლინა აგრეთვე კონცერტმა, რომელიც ჭ. თბილისის 2-ე და 6-ე მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით გაიმართა კონსერვატორიის მცირე დარბაზში. კონცერტზე წარმატება ხვდათ ამ სკოლების ნორჩ მუსიკოსთა სავიოლონჩელო და საფორტეპიანო ანსამბლებს (პედაგოგების ლ. ხაზანკინის, გაჩეჩილაძის და სხვათა კლასები), აგრეთვე ნორჩ მომღერალთა გუნდებს (პედაგოგების კაკელაშვილის და მაზმიშვილის კლასები). ცალკეულ შემსრულებლებიდან გამოირჩეოდა VI სკოლის მოსწავლე — ნორჩი პიანისტი ერისთავი (პედაგოგ მირზაშვილის კლასი), II სკოლის მოსწავლე — ნორჩი ვიოლონჩელისტი მაყაშვილი (პედაგოგ გონჩაროვის კლასი) და სხვ.

შემოქმედებითი მარქსიზმის ნაყოფი, მისი განუყოფელი ნაწილი, არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული უცვლელი თეორია დოგმის სახით. იგი ვითარდება, სრულყოფილი ხდება და მისი გამოყენება ხდება ახალი ვითარების შესაბამისად. ამაშია მისი უძლეველობის უმრეტი წყარო.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ლენინის თანამებრძოლები და მოწაფეები იცავდნენ და იცავენ ამ თეორიის სიწმინდეს, შემდგომ ავითარებენ და ამით ახალ სასიცოცხლო ძალას აძლევენ მას.

სოციალისტური რევოლუცია ხორციელდება მწვავე კლასობრივი ბრძოლის გზით, ძველი წყობილების ძალდატანებითი დამხობის გზით. მაგრამ გამორიცხული არ არის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებაც. ვ. ი. ლენინი 40 წლის წინათ, როცა ითვალისწინებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლას და ხორცს ასხამდა სოციალისტური რევოლუციის თეორიას, თავის აპრილის თეზისებში ითვალისწინებდა რევოლუციის მშვიდობიან განვითარებას.

მსოფლიო მუშათა მოძრაობის გამოცდილებამ, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნათელყო, რომ შესაძლებელია სოციალიზმზე გადასვლა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზით, რომ სოციალიზმზე გადასასვლელად სავალდებულო არ არის სამოქალაქო ომი. ამჟამად ამ გზის გამოყენების საშუალებას იძლევა მძლავრი სოციალისტური ბანაკი, ის, რომ სოციალიზმი გასცდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა.

რევოლუციის მშვიდობიან განვითარებას საერთო არა აქვს რა რეფორმიზმთან, რომელიც უარყოფს კაპიტალიზმის რევოლუციურ შეცვლას სოციალიზმით, პროლეტარიატისა და მისი პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადამწყვეტ მნიშვნელობას, მოითხოვს კაპიტალიზმის „გამოსწორებას“ და მის მშვიდობიან შეზრდას სოციალიზმში.

სოციალიზმზე გადასვლისას ძალადობის გამოყენება თუ გამოუყენებლობა დამოკიდებულია არა იმდენად პროლეტარიატზე, რამდენადაც ექსპლოატატორთა მიერ ძალადობის გამოყენებაზე. ამიტომ, იყენებენ რა რევოლუციის მშვიდობიან გზას, როცა ამისათვის ხელსაყრელი პირობებია, პროლეტარიატი და მისი პარტია მზად უნდა იყონ სათანადოდ უპასუხონ ბურჟუაზიის ძალადობას. უნდა გვახსოვდეს სკკპ XX ყრილობის სახელმძღვანელო მითითება ამ საკითხზე: „ეჭვი არ არის, რომ მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, სადაც კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ძლიერია, სადაც მის ხელშია უდიდესი სამხედრო-პოლიციური აპარატი, კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი გაშწვავება გარდუვალია“.

სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორია უდიდესი მაორგანიზებელი ძალა გახდა ხალხის დასაარაზმავად ძველი წყობილების დამხობისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში. დაეუფლა რა მასებს, ეს თეორია იქცა მატერიალურ ძალად, რომლის სასიცოცხლო ძალა და ჭეშმარიტება მსოფლიოში პირველად ჩვენს ქვეყანაში იქნა დადასტურებული. ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პირველმა განახორციელა სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორია, მან გაკაფა საერთო მთავარი გზა, რომლითაც მიდიან და კვლავაც ივლიან ქვეყნები სოციალიზმისაკენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად“ ნათქვამია: „ოქტომბრის რევოლუციის მთელი თავისებურების მიუხედავად, რაც დაკავშირებულია რუსეთის ისტორიულ პირობებთან, მან გაკაფა საერთო მთავარი გზა, რომლითაც მიდიან და კვლავაც ივლიან სოციალიზმისაკენ ყველა ქვეყნის პროლეტარები“.

ამ ცნობილი დებულების საწინააღმდეგოდ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ზოგიერთი მოღვაწე უარყოფს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობას, პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, მუშათა კლასის ინტერნაციონალური და ეროვნული ინტერესების შეხამებას, იმ საბუთით, რომ თითქოს არ შეიძლება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილების მექანიკური გადატანა. ეს მათ მიიჩნიათ მარქსიზმის „შემოქმედებით განვითარებად“. სინამდვილეში ეს სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორიის რევიზიაა, იგი უგულებელყოფაა სკკპ გამოცდილებისა, რომელიც დადასტურებულია ცხოვრების მიერ, უარყოფაა იმისა, რომ სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას აღიარებდნენ ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიები.

ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამ დაადასტურა, რომ მისი განხორციელება შეიძლება ყველა ქვეყანაში. ის დასკვნა, რომელიც უკვდავ „კომუნისტურ მანიფესტშია“ მოცემული, რომ ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის გამარჯვება თანაბრად გარდუვალია, — სავსებით გაამართლა ცხოვრებამ.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ: „სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა ერთი კლასის ხელიდან მეორე **კლასის** ხელში — ეს არის პირველი, მთავარი, ძირითადი ნიშანი **რევოლუციისა,** როგორც ამ ცნების მკაცრად-მეცნიერული, ისე პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობით“ (თხზ., ტ. 24, გვ.29).

მაშასადამე, ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხია ძალაუფლების საკითხი. მაგრამ ეს შაბლონურად არ უნდა გავიგოთ. მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი ხელში აიღებს ძალაუფლებას, ისმება ახალი ამოცანები — ძალაუფლების შენარჩუნება და განმტკიცება.

1917 წლის თებერვალში რუსეთის პროლეტარიატმა გლეხობასთან კავშირში დაამხო მეფის თვითმპყრობელობა და განახორციელა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. ეს რევოლუცია მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

ვ. ი. ლენინმა, რომელიც ამ დროს შვეიცარიაში იმყოფებოდა, სათანადო შეფასება მისცა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას და დასახა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ამოცანა, რომლის თეორიულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმა თავის განთქმულ აპრილის თეზისებში მოგვცა.

მთელმა პარტიამ, ხალხმა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს ეს თეზისები და შეუდგნენ მათს განხორციელებას. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან 8 თვის შემდეგ შეიარაღებული აჯანყების გზით რუსეთში გაიმარჯვა პროლეტარულმა რევოლუციამ, დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. იგი განახორციელა პროლეტარიატმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში, კომუნისტური პარტიისა და დიდი ლენინის ხელმძღვანელობით.

7 ნოემბერს 40 წელი სრულდება, რაც დამხობილ იქნა ხალხის საძულველი რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მემამულეთა ბატონობა და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. პროლეტარიატმა, გადაჭრა რა ხელისუფლების საკითხი და დაამყარა რა თავისი დიქტატურა, წარმართა იგი ახალი საზოგადოების ასაშენებლად.

ისტორიისათვის ეს არც თუ ისე დიდი დრო ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულმა ხალხმა მშობლიური პარტიის სწორი ხელმძღვანელობით მაქსიმალურად გამოიყენა თავისი სამშობლოს აყვავებისა და წინსვლისათვის. ახალი ცხოვრების მშენებლობის გზაზე ჩვენმა პარტიამ და ხალხმა დიდი დაბრკოლებები გადალახეს. მათ სასტიკ ბრძოლაში დაძლიეს მენშევიკების, ესერების, ტროცკისტების, ბუხარინელების, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვა მტრების წინააღმდეგობა.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია და სოციალიზმის გამარჯვება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებაა. ქვეყნის სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ საუსებით სახე უცვალა ჩვენს ქვეყანას. იგი გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, მოწინავე ტექნიკისა და მეცნიერების ქვეყნად. ყველა ეს მიღწევა, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა ხალხმა, კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის ტრიუმფია, პოლიტიკისა, რომელსაც უყოყმანოდ უჭერდნენ და უჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის მშრომელები. საბჭოთა კავშირის მშრომელთა, პირველ რიგში მუშათა კლასის უმაგალითო გმირობის შედეგია ის, რომ 1957 წლისათვის სსრ კავშირის მრეწველობა 1913 წლის დონესთან შედარებით 30-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველი — მძიმე მრეწველობა ამავე პერიოდში 50-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი დიადი მონაპოვარია ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, საბჭოთა კავშირის წინსვლისა და ძლიერების უმრეტი წყარო, საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხის პოლიტიკური და ეკონომიური წარმატებათა აუცილებელი პირობა. ოქტომბრის რევოლუციამ, დაამკვიდრა რა ყველა ერთა და ხალხთა თანასწორუფლებიანობა, ხელი შეუწყო ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის შექმნასა და აყვავებას. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი დიდი სახელმწიფოს განმტკიცებითა და აყვავებით ყველა ერი თანაბრად არის დაინტერესებული.

სოციალისტურმა რევოლუციამ, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დამყარებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ისტორიული განვითარების მთელ მსვლელობაზე. დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების ერა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამოიწვია კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გაძლიერება ევროპასა და აზიაში, მთელ მსოფლიოში, მშრომელთა ახალი მილიონების ჩაბმა კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან დასაბამი მისცა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლას, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორიის დიდი გამარჯვებაა სახალხო რევოლუცია ჩინეთში, სახალხო-დემოკრატიული რევოლუციები ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში და სოციალიზმის მშენებლობა ამ ქვეყნებში.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, დაამსხვრია რა ძველი, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა, საფუძველი ჩაუყარა ახალ, სოციალისტურ წარმოებითს ურთიერთობას ჩვენს ქვეყანაში, შექმნა საწარმოო ძალთა გიგანტური ზ

ორთქლმავალი № 293



ჰელსინკი, 20 მაისი. (საკდესი). ფინეთში აღმოჩნდა ორთქლმავალი, რომლითაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, როცა დროებითი მთავრობის ხელისუფლებს ემალებოდა, 1917 წელს ფინეთში ჩამოვიდა.

მეტად საგულისხმოა ამ ორთქლმავლის ისტორია. იგი აშენდა 1900 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში და 1913 წლამდე დადიოდა ფინეთის რკინიგზებზე. შემდეგ ორთქლმავალი პეტროგრადში გაგზავნეს და მუშაობდა მაშინდელ ფინეთის რკინიგზაზე 293 ნომრით. 1917 წლის აგვისტოში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ფინელ ბოლშევიკებს დაავალა ჩაეყვანათ ვლადიმერ ილიას-ძე ფინეთში. გადაწყდა, რომ ვლადიმერ ილიას-ძე მეცეცხლურის ტანისამოსს ჩაიცვამდა და ფინეთში წავიდოდა № 293 ორთქლმავლით. მანქანედ იყო გ. ე. იალავა, რომელიც გარდაიცვალა 1950 წელს 76 წლისა. 1918 წელს № 293 ორთქლმავალმა მარცხი განიცადა. მას მოსძვრა მილი და აღმოაჩნდა სხვა სერიოზული დაზიანებანი. ამის შემდეგ იგი გაგზავნეს „ორთქლმავალთა სასაფლაოზე" და იქ იდგა ორ წელიწადს.

1920 წლის გაზაფხულზე № 293 ორთქლმავალი თანაშემწემ, ხოლო შემდეგ მემანქანის ყოფილმა მემანქანემ ვიროლაინენმა აღძრა ორთქლმავლის აღდგენის საკითხი. ვიროლაინენი სხვა ამხანაგებთან ერთად თვენახევრის განმავლობაში მუშაობდა ორთქლმავლის აღდგენაზე, და 1920 წლის 1 მაისისათვის ორთქლმავალი კვლავ ჩადგა მწყობრში. შემდეგ ვიროლაინენი დაახლოებით ერთ წელიწადს ამ ორთქლმავლის მემანქანე იყო.

1924-25 წლებში № 293 ორთქლმავალი ფინეთს გადაეცა. აქ 1925 წლიდან იგი ემსახურებოდა სამგზავრო მიმოსვლას ფინეთის სხვადასხვა რაიონში. 1941 წლიდან მიმდინარე წლის იანვრამდე ორთქლმავალს დაჰყავდა სამგზავრო შემადგენლობანი ტამპერეს სარკინიგზო ოლქში. ამჟამად № 293 ორთქლმავალი ფინეთის სახელმწიფო რკინიგზების დეპოშია დაბა პიუვინკიაში.

ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის კომუნისტური პარტიების დელეგაციათა მოლაპარაკება

პრაღა, 21 მაისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, აქ ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის კომუნისტური პარტიების დელეგაციათა მოლაპარაკების შესახებ.

განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ბრძოლა გერმანული მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ და გერმანელი ხალხის დემოკრატიული და პროგრესული ძალების მხარდაჭერა კვლავ რჩება ორივე პარტიის მთავარ ამოცანად.

საბჭოთა კავშირის მხარდაჭერისა და ინიციატივის მეოხებით, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ავსტრიამ მიიღო დამოუკიდებლობა ნეიტრალიტეტის საფუძველზე. ავსტრიის კომუნისტურ პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ავსტრიის დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა და განმტკიცება და ბრძოლა ყველა იმ ცდის წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია მათ ძირგამოსათხრელად.

განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოქმედების ერთიანობას და ურთიერთთანამშრომლობას. განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ორივე პარტიას საბჭოთა კავშირი მიაჩნია სოციალისტური ბანაკის ხელმძღვანელ ძალად, ხოლო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ცენტრად. ორივე პარტია სოლიდარობას უცხადებს უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას და მხარს უჭერს უნგრეთის სახალხო ხელისუფლების განმტკიცებაში.

ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიებს საჭიროდ მიაჩნიათ გადამწყვეტი ბრძოლა ყოველგვარი რევიზიონისტული ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებიც ზიანს აყენებენ მუშათა კლასს და ემსახურებიან რეაქციას. საჭიროა აგრეთვე, ნათქვამია განცხადებაში, დაუცხრომლად ვამხილოთ და უვნებელყოთ ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინებანი.

დასასრულ ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და თავისუფლებისათვის ერთობლივი ბრძოლის ტრადიციები, რომლებიც აერთიანებენ ორივე ქვეყნის მუშათა კლასს. ორივე პარტიას შორის კავშირის განმტკიცება, აღნიშნულია განცხადებაში, შეესაბამება ორივე ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესებს, ჩეხოსლოვაკ და ავსტრიელ ხალხებს შორის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი წარმატებით განვითარების ინტერესებს.

უნგრეთის უხუცესი კომუნისტების დელეგაცია საქართველოში. **სურათზე:** სტუმრები ეცნობიან ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

უნგრეთის უხუცეს კომუნისტთა დელეგაცია გათუმში

ბათუმი, 22 მაისი. (საქდესი). თბილისიდან აქ ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უხუცეს კომუნისტთა დელეგაციის წევრთა ჯგუფი იანოშ ტიორიოკის მეთაურობით. მატარებლის მოსვლისათვის ვაგზალში შეიკრიბნენ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრები, ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები. მათ გულთბილი მეგობრული შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს. პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს მათ.

უნგრელი კომუნისტები ინტერესით ეცნობიან ბათუმის ცხოვრებას. ისინი იყვნენ სტალინის სახელობის ზღვისპირა პარკში და ლენინის სახელობის პიონერთა პარკში. სტუმრებმა თბომავალ „პიონერით" ისეირნეს ტბაში. დელეგაციის ხელმძღვანელმა იანოშ ტიორიოკამ მხურვალე მადლობა გადაუხადა ნორჩ მეზღვაურებს სიამოვნებისათვის.

დელეგაცია პარკის მწვანე თეატრში დაესწრო პიონერთა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს. უნგრელი კომუნისტები რევოლუციის მუზეუმში გაეცნენ ბათუმის პროლეტარიატის რევოლუციური წარსულის მასალებს.

სტუმრები იყვნენ ბათუმის ხალხური შემოქმედების თეატრში და გაეცნენ აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საკონცერტო პროგრამას.

აჭარის ახალგაზრდობის ზეიმი

ორ დღეს საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა აჭარის ახალგაზრდობის პირველი საოლქო ფესტივალი. ფესტივალს წინ უსწრებდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ქალაქ ბათუმსა და აჭარის რაიონებში ფესტივალისათვის მზადების დღეებში ათობით ახალი მხატვრული კოლექტივი შეიქმნა, ხოლო ბევრმა არსებულმა კოლექტივმა მნიშვნელოვნად სრულყო თავისი მხატვრული ოსტატობა.

საოლქო ფესტივალი გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე. მოედნის ცენტრალურ ადგილას აგიზგიზდა ხაფესტივალო კოცონი, ცაში იელვა მრავალფეროვანმა შუშხუნებმა...

ფესტივალზე სტუმრად ჩამოვიდნენ ოდესის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ფოთის, მახარაძის და სხვა ქალაქებისა და რაიონების ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რომლებმაც აჭარის ახალგაზრდობას მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები მოუტანეს. სტალინის სახელობის ზღვისპირა პარკში გაამართა ახალგაზრდობის მასობრივი სეირნობა, სხვადასხვა თამაშობანი. მოეწყო ბათუმის გარნიზონის მებრძოლთა შეხვედრა აჭარის ახალგაზრდობასთან, ხოლო აჭარის ხალხური შემოქმედების საოლქო თეატრში ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდები. აჭარის სახელმწიფო თეატრში, სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში, ოფიცერთა სახლში, მატროსების კლუბში, პიონერთა პარკსა და სხვა თეატრებსა და კლუბებში გაიმართა ფესტივალის მონაწილეთა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები. სახელმწიფო თეატრში გამართულ კონცერტს დაესწრნენ პოლონელი ტურისტები, რომლებიც ბათუმში იმყოფებოდნენ.

პიონერთა პარკში მოეწყო ჩვენი ქვეყნისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა მეგობრობის ამსახველი კუთხე, ჩინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოსწავლეთა მიერ გამოგზავნილი საჩუქრების გამოფენა და სხვ. აქვე ჩატარდა „მოსწავლეთა მეგობრობის ზეიმი" — ქალაქის სკოლების მხატვრული თვითმოქმედი წრეების გამოსვლა.

კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი იყო ფესტივალის მეორე დღე. მთელ ქალაქში, მის პარკებსა და ბაღებში, ქუჩებში და მოედნებზე, თეატრებსა და კლუბებში, ღია ესტრადებზე დილიდან გვიან ღამამდე არ შეწყვეტილა ფესტივალის მონაწილე ახალგაზრდების საზეიმოდ მორთული კოლონების სვლა, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისა და მსახიობთა გამოსვლები, შემოქმედებითი შეხვედრები, ათასგვარი თამაშობა და გართობა. კოლონებს წინ მიუძღოდნენ 15 მოკავშირე რესპუბლიკის ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები.

აჭარის სარეწაო საბჭოს კულტურის სახლში მოეწყო სამი თვობის — სკკპ წევრების, კომკავშირელებისა და პიონერების საინტერესო შეხვედრა, რომელზეც ახალგაზრდები გამოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის პარტიის ბრძოლის ამსახველი მონტაჟით, უჩვენეს ახალგაზრდობის როლი ამ ბრძოლაში. შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

ზღვისპირა პარკის საზაფხულო თეატრის წინ გაიმართა ფესტივალის დასკვნითი კონცერტი, რომელიც შედგენილი იყო ფესტივალის მონაწილეთა საუკეთესო ნომრებით. კონცერტმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფესტივალმა ბევრი ნიჭიერი მხატვრული კოლექტივი, ახალგაზრდა ჰომღერალი, მოცეკვავე, მუსიკოსი და დეკლამატორი გამოავლინა.

ფესტივალის დღეებში ზღვისპირა პარკის კორტებსა და პიონერთა პარკის სტადიონზე გაიმართა ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის ნაკრები გუნდების შეჯიბრება სპორტის მრავალ სახეობაში.

დ. კაიჭაძე,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ერეკლეოსანი ბიგლაძერიძეა

გარდაიცვალა რევოლუციური მოძრაობის და სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე, სკკპ წევრი 1918 წლიდან გრიგოლ სიმონის-ძე კობიძე (გოგიტო ციმბირელი).

გ. ს. კობიძე დაიბადა 1889 წელს დაბა ჩოხატაურში. ჯერ კიდევ 15 წლის ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო ბათუმის როტშილდის ქარხანაში, შემდეგ კი ბორჯომის შუშის ქარხანაში. აქ იგი ჩაება რევოლუციურ მუშაობაში, ავრცელებდა პროკლამაციებს და სხვა არალეგალურ ლიტერატურას, მონაწილეობდა მუშათა გაფიცვების მოწყობაში.

მეფის მთავრობის დროს იგი რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და გადასახლებული.

გ. ს. კობიძემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სამოქალაქო ომის ფრონტებზე. 1918 წელს იგი ცარიცინშია, მას ნიშნავენ მებრძოლი რაზმის ხელმძღვანელად და გმირულად იბრძვის გენერალ ალექსეევის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ. საბრძოლო დამსახურებისთვის იგი დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით.

1919 წელს გ. ს. კობიძე საქართველოშია და ენერგიულ მონაწილეობას იღებს მენშევიკური მთავრობის დასამხობად შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გ. ს. კობიძე დიდ და დაძაბულ მუშაობას ეწეოდა მისი განმტკიცებისათვის, ულმობლად ანადგურებდა კონტრრევოლუციურ ბანდებს. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იგი იყო თბილისისა და მისი მაზრის საბჭოდრო კომისარი, შემდეგ მუშაობდა ქუთაისის საგანგებო კომისიის უფროსად და მთელ რიგ სხვა თანამდებობებზე.

ამხ. გ. ს. კობიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საქართველოს მშრომელთა გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატი

21 მაისს თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური.

ამ დღეს დამთავრდა მხოლოდ სამი პარტია. ოსტატმა გურფინკელმა მოუგო ბელოზეროვას, კაკაბაძემ — ბუცხრიკიძეს, გაფრინდაშვილმა — ტომილინას. ტოგონიძე-ხაჭაპურიძის, ფანქველაშვილი-ივანოვას, ნაჭყებია-სტატნიკოვას, ჩაიკოვსკაია-გოგიავასა და ლოლიშვილი-როზოტარეს პარტიები გადაიდო.

11 ტურის შემდეგ გათამაშების ლიდერობას კვლავ გურფინკელი ინარჩუნებს. მას 10,5 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა კაკაბაძე (8,5 ქულა), მესამეზე — გაფრინდაშვილი (7,5 ქულა და 1 გადადებული, 1 გამოტოვებული პარტია).

დამთავრდა საქართველოს პირველობა ხელბურთში

სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკისა" და „დინამოს" სტადიონებზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება ხელბურთში საქართველოს 1957 წლის პირველობაზე. ეს ასპარეზობა პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი იყო. მასში მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის 9 უძლიერესმა კოლექტივმა.

პირველობისათვის მებრძოლი გუნდები გაყოფილი იყო ორ ჯგუფად. ჯგუფებში გამარჯვებულებს უნდა გეგმართათ დასკვნითი ასპარეზობა. პირველი ჯგუფიდან ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სასპორტო კლუბის გუნდმა, მეორე ჯგუფიდან — აჭარის ხელბურთელთა კოლექტივმა.

ფინალური მატჩი გაიმართა 21 მაისს „დინამოს" სტადიონზე. როგორც პირველ, ისე მეორე ტაიმში უპირატესობა თბილისელთა მხარეზე იყო, რომლებმაც მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 12 : 5.

ამრიგად, ხელბურთში საქართველოს 1957 წლის ჩემპიონი გახდა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სასპორტო კლუბის გუნდი, რომელსაც საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო — თასი. მეორე ადგილზე გამოვიდა აჭარის გუნდი, მესამეზე — თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა კოლექტივი.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ორთქლმავალი № 293

კ. ე. ვოროშილოვი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ხანოი, 21 მაისი. (საკდესი). დღეს საღამოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა საპასუხო ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს.

მათ შორის გამართულ გულთბილ, მეგობრულ საუბარში ვიეტნამის მხრივ მონაწილეობა მიიღეს ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ტონ დიკ თხანგმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ უნგ ვან ხიემმა, საბჭოთა კავშირის მხრივ — შ. რ. რაშიდოვმა, ვ. პ. ელიუტინმა, ნ. ტ. ფედორენკომ, მ. ვ. ზიმიანინმა.

უფრო გვიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ფან კე ტოაიმ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისა და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად გამართა დიდი დარბაზობა, რომლის დროს ფან კე ტოაიმ და კ. ე. ვოროშილოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

დარბაზობამ უაღრესად გულთბილ, თავისუფალ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 22 მაისი. (საკდესი). შეჯამებულ იქნა გი მოლეს მთავრობისათვის ნდობის საკითხზე ეროვნულ კრებაში 21 მაისს გვიან საღამოს გამართული კენჭისყრის საბოლოო შედეგები. 250 ხმით 213 ხმის წინააღმდეგ საფრანგეთის პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას, რომელიც ხელისუფლების სათავეში იყო დაახლოებით 16 თვეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 21 მაისი. (საკდესი). გუშინ დღის მეორე ნახევარში გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც მოწვეულია საფრანგეთის წარმომადგენლის თხოვნით სუეცის საკითხის განსახილველად. ამ საკითხის დასმა უშიშროების საბჭოში იმ დროს, როდესაც ნაოსნობა არხში შეუფერხებლად ხორციელდება, წარმოადგენს საფრანგეთის ამაო ცდას ზეგავლენა მოახდინოს ეგვიპტეზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მანევრების საშუალებით მიაღწიოს მიზნებს, რომლებსაც ვერ მიაღწია შეიარაღებული აგრესიის გზით.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა გაიღაშქრა უშიშროების საბჭოში სუეცის საკითხის ახალი განხილვის წინააღმდეგ, რამდენადაც ასეთი განხილვა გამოწვეული არ არის არავითარი საჭიროებით და მას შეიძლება მხოლოდ მოჰყვეს მშვიდობის საქმისათვის არასასურველი გართულებანი ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების მხარდაჭერით საფრანგეთის თხოვნა საბჭოს დღის წესრიგში სუეცის საკითხის შეტანის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა. (10 დელეგატმა ხმა მისცა დღის წესრიგში საკითხის შეტანას, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა თავი შეიკავა).

პირველი გამოვიდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პინო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეგვიპტის მთავრობის 1957 წლის 24 აპრილის დეკლარაცია სუეცის არხში ნაოსნობის პრობლემის მოწესრიგების შესახებ თითქოს არ შეესაბამება კონსტანტინოპოლის 1888 წლის კონვენციას და უშიშროების საბჭოს 1956 წლის 13 ოქტომბრის რეზოლუციის ექვს პრინციპს. იგი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ ეგვიპტის დეკლარაცია, რომელიც უკვე რეგისტრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მიერ როგორც საერთაშორისო დოკუმენტი და რომლის პირობები მიიღო არხით ეგრეოწოდებულ „მოსარგებლეთა ასოციაციის" 16 წევრიდან 15 წევრმა, არ შეიძლება მიღებულ იქნას, რამდენადაც იგი თითქოს „არ უზრუნველყოფს" არხში ნაოსნობის თავისუფლებას ყველა ქვეყნისათვის.

პინომ გამოთქვა სინანული, რომ არხით სხვა მოსარგებლენი, თუმცა შენიშვნებით, დაეთანხმნენ ეგვიპტის დეკლარაციის პირობებს, და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ საჭიროა ახალი მოლაპარაკება ამ საკითხების გადასასინჯავად, რომლებიც უკვე გადაჭრილია ეგვიპტის მთავრობის დეკლარაციაში. პინომ სცადა ბრალად დაედო ეგვიპტისათვის უშიშროების საბჭოს 1956 წლის 13 ოქტომბრის რეზოლუციის შეუსრულებლობა, თუმცა ცნობილია, რომ სწორედ საფრანგეთმა, გააჩაღა რა ინგლისსა და ისრაელთან ერთად შეიარაღებული აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, დაარღვია ეს რეზოლუცია.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აშკარა სინანულით განაცხადა, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის შეწყვეტასთან ერთად „დაიკარგა მაშინ არსებული შესაძლებლობა" მიღწეულიყო სუეცის პრობლემის „მისაღები დამაკმაყოფილებელი" გადაჭრა.

შემდეგ სიტყვა აიღო ეგვიპტის წარმომადგენელმა ლუტფიმ. მან სავსებით ცხადყო, რომ ეგვიპტის მთავრობის 24 აპრილის დეკლარაცია მთლიანად შეესაბამება კონსტანტინოპოლის კონვენციასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, აგრეთვე უშიშროების საბჭოს გასული წლის 13 ოქტომბრის რეზოლუციას. ლუტფიმ განაცხადა, რომ საფრანგეთის წარმომადგენელის მტკიცება, თითქოს ეს დეკლარაცია ეწინააღმდეგებოდეს უშიშროების საბჭოს 1956 წლის 13 ოქტომბრის რეზოლუციას, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ლუტფიმ მოიგონა დამსწრეთ, რომ მიმდინარე წლის აპრილში უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სჯობს პრაქტიკულად შემოწმდეს ეგვიპტის დეკლარაცია, თუმცა ზოგიერთ მათგანს ჰქონდა გარკვეული შენიშვნები ამ დოკუმენტის მიმართ.

შეეხო რა პინოს მტკიცებას, თითქოს ეგვიპტემ ჩაფუშა უშიშროების საბჭოს გასული წლის 13 ოქტომბრის რეზოლუციის შესრულება, ლუტფიმ განაცხადა: როგორც ჩანს ბ-ნ პინოს დავიწყდა, რომ უშიშროების საბჭოს 1956 წლის ოქტომბრის სხდომიდან ეგვიპტის დეკლარაციის გამოქვეყნებამდე მოხდა აგრესია, რომელმაც უდიდესი ზარალი მიაყენა ეგვიპტელ ხალხს.

ეგვიპტეს განზრახული აქვს მტკიცედ დაიცვას ყველა პირობა, რომელიც ჩამოყალიბებულია უშიშროების საბჭოს 1956 წლის 13 ოქტომბრის რეზოლუციაში, თქვა დასასრულ ლუტფიმ.

ინგლისის წარმომადგენელმა დიკსონმა დაიცვა საფრანგეთის მთავრობის პოზიცია. იგი ამტკიცებდა, რომ ეგვიპტის დეკლარაცია თითქოს „არ არის დამაკმაყოფილებელი არც ფორმით, არც შინაარსით". მან ქმაყოფილება გამოთქვა სუეცის საკითხის განხილვის განახლების გამო. ინგლისს, განაცხადა დიკსონმა, კანონიერად არ მიაჩნია ეგვიპტის მიერ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია, რადგან ამ ნაციონალიზაციის შედეგად თითქოს დაირღვა „წონასწორობა" ამ რაიონში.

დიკსონის ეს განცხადება მოწმობს, რომ ეგვიპტის დეკლარაცია ინგლისს სწორედ იმიტომ არ აკმაყოფილებს, რომ ეგვიპტე განამტკიცებს თავის სუვერენიტეტს სუეცის არხის მიმართ და არ აკმაყოფილებს ინგლისის, საფრანგეთისა და არხით ზოგიერთი სხვა მოსარგებლის პრეტენზიებს განსაკუთრებულ უფლებებსა და პრივილეგიებზე არხის მართვის მიმართ.

ავსტრალიის წარმომადგენელმა არსებითად მოკლედ გაიმეორა ის, რაც დიკსონმა თქვა.

საბჭოს სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი.

ა. ა. სობოლევმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის მიერ უშიშროების საბჭოში სუეცის საკითხის დაყენებას არავითარი საფუძველი არა აქვს, რამდენადაც არხით ამჟამად შეუფერხებლად სარგებლობს მსოფლიოს ქვეყნების დიდი უმრავლესობა, მათ შორის ეგრეთწოდებული „არხით მოსარგებლეთა ასოციაციის" მონაწილე ქვეყნები.

გავეცანით რა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს 15 მაისის კომუნიკეს, განაცხადა ა. ა. სობოლევმა, რომელშიც, უნდა ვიგულისხმოთ, ჩამოყალიბებულია უშიშროების საბჭოში საფრანგეთის მიმართვის მოტივები, და მოვისმინეთ რა საფრანგეთის წარმომადგენლის ბ-ნ პინოს განცხადება, ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ვერც ერთი დამაჯერებელი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ეგვიპტე ასე თუ ისე დაბრკოლებას უქმნის ნაოსნობის თავისუფლებას სუეცის არხში. საფრანგეთის წარმომადგენლის გამოსვლა უფრო გამოხატავს დამარცხების სიმწარეს და საფრანგეთის მთავრობის ამაო მეცადინეობას აღიდგინოს პრესტიჟი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩაიფუშა მისი ცდა თავს მოახვია ეგვიპტისათვის სუეცის პრობლემის გადაჭრის პირობები, რომლებიც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა გააბათილა საფრანგეთის წარმომადგენლის მტკიცება, თითქოს საბჭოთა კავშირის ვეტომ სუეცის საკითხის განხილვისას ხელი შეუშალა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულებას. საბჭოთა ვეტომ როდი შეუშალა ხელი „ექვსი პრინციპის" და უშიშროების საბჭოს 1956 წლის 13 ოქტომბრის რეზოლუციის შესრულებას, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. სობოლევმა. ეს რეზოლუცია უნაშად დაარღვიეს საფრანგეთმა და ინგლისმა, რომლებმაც უშიშროების საბჭოს მიერ აღნიშნული რეზოლუციის მიღების შემდეგ ეგვიპტის მთავრობასთან მოლაპარაკების ნაცვლად ისრაელთან ერთად გააჩაღეს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ.

საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, განაცხადა შემდეგ ა. ა. სობოლევმა, რომ სუეცის საკითხზე დისკუსიის თავსმოხვევა ამჟამად არის ახალი ცდა საფრანგეთის მხრივ ზეგავლენა მოახდინოს ეგვიპტეზე, სცადოს აიძულოს იგი დაეთანხმოს სუეცის საკითხის ისეთ გადაჭრას, რომელიც შეუთავსებელია ეგვიპტის სუვერენიტეტთან და კანონიერ უფლებებთან. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს საბჭოში ამ საკითხის დაყენების კიდევ ერთი მიზანი, რომელიც სერიოზულ საშიშროებას შეიცავს, სახელდობრ: ისრაელის აგრესიული წრეების წაქეზება ეგვიპტის მიმართ ახალი პროვოკაციული აქტების განხორციელებისათვის, როგორიც არის ისრაელის გემს განზრახული ცდა ძალით გაიაროს სუეცის არხი ეგვიპტის პოზიციის სიმტკიცის „გამოცდის" მიზნით. არის ბევრი არარაზრავანი განცხადება იმის შესახებ, რომ საფრანგეთი, აქეზებს რა ისრაელს ეგვიპტის წინააღმდეგ ახალი პროვოკაციების მოწყობისათვის, სრულ მხარდაჭერას აღუთქვამს მას ახლო აღმოსავლეთში ახალი კონფლიქტის შემთხვევაში. გამამხნევებელი ხმები, რომლებიც ისრაელს აქეზებენ უასუხისმგებლო აქტებისათვის, სამწუხაროდ, გამომდინარეობენ ოგრეთვე შეერთებული შტატების ზოგიერთი პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწისაგან.

არა გვგონია ვინმეს საეჭვოდ მიაჩნდეს, რომ ამგვარი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენისათვის პირობების შექმნას კი არ ისახავს მიზნად მსოფლიოს ამ რაიონში, არამედ შეშფოთების კერის შენარჩუნებას, არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის წანამძღვრების შექმნას.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, თქვა დასასრულ ა. ა. სობოლევმა, რომ უშიშროების საბჭომ არ უნდა დაუშვას რომელიმე ქვეყნის ჩარევა სუვერენული არაბთა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში, რა საბაბითაც უნდა მოხდეს ეს. ამით უშიშროების საბჭო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მშვიდობის საქმეში და თავიდან აგვაცილებს პროვოკაციებს, რომლებიც მზადდება — იქნება ეს არაბთა სახელმწიფოებისა და ისრაელის საზღვარზე თუ არაბთა ქვეყნების ტერიტორიულ წყლებში.

რაც შეეხება სუეცის არხის პრობლემას, საბჭოთა დელეგაციამ უკვე განაცხადა და კვლავ დასტურებს თავის ღრმა რწმენას, რომ ეგვიპტის მთავრობის მიერ 24 აპრილის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ სუეცის პრობლემა არსებითად უკვე გადაჭრილია და არ არის არავითარი საფუძველი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი შემდგომი განხილვისათვის.

ფილიპინებისა და კუბის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეგვიპტის დეკლარაცია შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც „დროებითი საერთაშორისო აქტი", მით უფრო, რომ მასში ჩამოყალიბებული პირობების საფუძველზე უკვე დიდწყო ნაოსნობა არხში.

პინოს მოკლე საპასუხო გამოსვლის შემდეგ უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება განაგრძოს ამ საკითხის განხილვა 21 მაისს.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ტოსკა, **რუსთაველის სახელობის** — ესპანელი მღვდელი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მკაცრი ქალიშვილები, **გრიბოედოვის სახელობის** — მარტოხელა, **სომხური დრამის** — დედინაცვალი, **მუსიკალური კომედიის** — ნანატრი საქმრო, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სახიფათო მოჯნასთან (აბონემენტი № 18, 3 ს.), ანდროს ოცნება (აბონემენტი № 36, 7 ს.), **ძოზარდ მაყურებელთა რუსული** — ოჯახი (5 ს.), **თოჯინების ქართული** — ჩექმებიანი კატა (10 ს.), ბებია დარეჯანის ზღაპრები (2 ს.), **ფილარმონია** — საესტრადო წარმოდგენა „გაზაფხული მოდის" (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), **ოქტომბერი, ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — ცხოვრების საგზური, **ისანი** (საზაფხულო) — ავეიაობის სკოლა, **კომკავშირელი, კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, კიროვის სახელობის პარკი** — ილია მურომეცი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — წითელი ეშმაკუნები, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლმეურნე** — ჩრდილი ტაზე, **კოლხიდა** (საზაფხულო) — დონ-ჟუანი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ორჯონიკიძის სახელობის და ვაკის პარკები** — დემიტროგვრადელები, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ბერლინის რომანი, **ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — საქმე № 306, **დიდუბე** (საზამთრო) — გზა შენსკენ, **დიდუბე** (საზაფხულო) — ჩრდილი პირსთან, **ყაზბეგი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — გული მღერის.

დისერტაციის დაცვა

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1957 წლის 5 ივნისს დღის 1 საათზე, № 93 აუდიტორიაში (უნივერსი